# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 17 სექტემბერი, 2011 წელი.

№173 (6804)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.



## პრეზიდენტი შვილივით „ნაყვარებათ“! ②



**რამაზ საყვარელიძე:**

## სასულიერო ძეგლებით ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ გვარდება, მაგრამ არსებული ნაპრალები ივსება ②

## მოსკოვის პროტესტს ევროპამ მტკიცედ უპასუხა ④







## სისასტიკით და არაადამიანურობით ცნობილი მეგის ქარდავა თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს! ③

## მერაბიშვილი აფხაზეთისთვის საერთაშორისო დახმარების წინააღმდეგი იყო ④

## ხანგრძლივი პროცესის მხოლოდ დაწყებას დიპლომატიურ წარმატებად ვერ გაასაღებ ⑤



თბილისში დასრულებული მორიგი ამბასადორიალის შეხვედრებზე, საგარეო უწყებისა და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების მკვლევარს, ავსტრიასა და უნგრეთში საქართველოს ყოფილ ელჩს კოტე ჟღენტს ესაუბრა.

## ჩინეთის დიდი გზა ⑧




ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ ენდობი

მიდი, ჯიხურში ყოველდღე
ჩვენი გაზეთი' იკითხე,
თუ ჭურში ჯდომა არ გინდა,
შეიძინე და იკითხე!..

ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიარქი

# რამაზ საყვარელიძე: სასულიერო ძეგლებით ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ გვარდება, მაგრამ არსებული ნაპრალები ივსება



**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე გუშინ დარიალის ხეობაში გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსის გახსნას, ამასთან დაკავშირებით ილია მეორის განცხადებას ეხმიანება და მიიჩნევს, რომ „სასულიერო ძეგლებით ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ გვარდება, მაგრამ არსებული ნაპრალები ივსება“.**

გუშინ ტაძარში ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს მიერ გაკეთებულ განცხადებას პოლიტოლოგი სიმბოლურად, ერთგვარ მინიშნებად აღიქვამს და თვლის, რომ ანალოგიური განცხადება ქვეყნის პირველი პირისგან „ქვეყნებს შორის ურთიერთობას არ არგებდა“.

„დარიალის ხეობა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გზა ყოველთვის იყო, აქედან გამომდინარე, პატრიარქის ფრაზას სიმბოლური დატვირთვა აქვს და ერთგვარი მინიშნებაა. ზოგადად, სასულიერო პირისგან ამგვარი განცხადება მინიშნებაა, ხოლო ქვეყნის პირველი პირისგან მსგავსი წიაღსვლები ქვეყნებს შორის ურთიერთობას არ არგებდა“, — განუცხადა „პირველს“ საყვარელიძემ.

ილია მეორე იმედოვნებს, რომ დარიალის ხეობაში აგებული მამათა სამონასტრო კომპლექსი „სასწაულს გვიჩვენებს“ და საქართველოსა და რუსეთს კვლავ მშვიდობიან ურთიერთობას მოუტანს. პატრიარქის აზრით, სწორედ აქ შეიძლება, გაიმართოს მოლაპარაკებები ქვეყნების ლიდერებს შორის.

ამის შესახებ პატრიარქმა გუშინ დარიალის ხეობაში მამათა მონასტრის კურთხევის შემდეგ ქადაგებისას ბრძანა.

„უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „კლდესა ამასა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ვერ ერეოდიან მას. ასეთი ტაძარი აშენდა კლდესა ზედა და ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ მას ვერ მოერევიან. საუკუნეების განმავლობაში ელოდა ქართველი ხალხი ამ ბედნიერ დღეს, როცა აქ - საქართველოს კარიბჭეში წმინდა მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძარი აშენდებოდა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, უფრო მეტად - სულიერი: მთავარანგელოზები მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი და სხვები ხომ მფარველები არიან ყოველი ადამიანისა და საქართველოსი. თუმცა ამ ტაძარს, სულიერის გარდა, სხვა მნიშვნელობაც აქვს: ეს იქნება ციხესიმაგრე, როგორც თამარ მეფის დროს. ამასთან, იგი რუსეთის საზღვართან არის აგებული, რუსეთში კი უმრავლესობა მართლმადიდებელია და როდესაც იქიდან სტუმარი შემოვა, ის ნახავს, რომ შემოვიდა მართმადიდებელ, მშვიდობიან ქვეყანაში. ეს წმინდა ტაძარი იქნება თავშესაფარი ყოველი მგზავრისა. აქ შედგება მოლაპარაკებები ქვეყნების მეთაურებს შორის, — ასეთი მაღალი დონის იქნება ეს მონასტერი. ვფიქრობ, ეს ტაძარი სასწაულს გვიჩვენებს და ჩვენი ქვეყნები ისევ მშვიდობიან ურთიერთობაში იქნებიან“, — ბრძანა პატრიარქმა.



აღსანიშნავია, რომ უწმინდესმა ამ ტაძარში გუშინ წირვა პირველად შეასრულა და მას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ესწრებოდა. ილია მეორემ ამის გამო კმაყოფილება გამოთქვა, პრეზიდენტს ტაძრის კურთხევა მიულოცა და მასა და სრულიად საქართველოს მთავარანგელოზ მიქაელის მფარველობა უსურვა.

შეგახსენებთ, რომ დარიალის ხეობაში მამათა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა 2005 წელს დაიწყო.

დაგეგმილია ასევე წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობა. გარდა ამისა, სამონასტრო კომპლექსში 150 ბერისა და მორჩილისთვის კელიები, სასტუმრო და საპატრიარქო რეზიდენცია აშენდება.

ჩვენ




# პრეზიდენტი შვილივით „ნაყვარებათ!“

**14 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილი რუსთავს სტუმრობდა. მან რუსთაველი პენსიონერების გიორგი და ცირა ჯავახიშვილების ოჯახს ორი 100-ლარიანი პენსია გადასცა. „ჩემი ოცნება ახდა, რომ გიხილეთ. თვალებს ვერ ვუჯერებ, ჩემი საყვარელი პრეზიდენტი მესტუმრა. გამიშვით, მე მის გვერდით უნდა დავჯდე“, — ამბობდა ოჯახის დიასახლისი ცირა ჯავახიშვილი.**

საზოგადოებამ ეს საუბარი, „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გამოშვებიდან იხილა. პრეზიდენტი ჯავახიშვილების ოჯახს უყვებოდა, თუ რამდენად ძვირფასი და „მოსაფერებელია“ მისთვის თითოეული პენსიონერი. „ეს რამდენი ხალხი შეკრებილა ეზოში ჩემ შესახვედრად! რა საჭირო იყო?“ — კითხულობდა სააკაშვილი. სატელევიზიო კადრებიდან კარგად ჩანს, რომ ხალხი იმ დროს თოდრიას 313 კორპუსთან მართლაც საკმაოდ იყო. ზოგიერთი მათგანი პრეზიდენტს მადლობას რუსულად უხდიდა.

Presage.tv-მ პრეზიდენტის სტუმრობიდან მეორე დღეს გაარკვია, რომ ამ ადამიანების დიდი ნაწილი იქვე მოქმედი ე.წ აზერბაიჯანული ბაზრიდან იყო გადმოსული.

ჩვენთვის სააკაშვილის რუსთავში სტუმრობა მისი წასვლის შემდეგ გახდა ცნობილი. ამიტომ იმის გასარკვევად, თუ რატომ ესტუმრა პრეზიდენტი მაინცდამაინც ჯავახიშვილების ოჯახს და ვინ შეურჩია მას მასპინძელი, თოდრიას ქუჩას ვესტუმრეთ.

„ეგ კორპუსი აზერბაიჯანელების ბაზრის გვერდითაა. ახალი გზაა მანდ დაგებული და ადვილად მიაგნებ. გუშინ პრეზიდენტი ჰყავდათ სტუმრად და წინა დღეს დაუგეს გზა“ — საფუძვლიანად მიგვასწავლეს ჩვენთვის საჭირო კორპუსი.

მუქი ფერის, ჯერაც რბილ ასფალტს გავუყევით და ცირა ჯავახიშვილს ვესტუმრეთ.

ქალბატონ ცირას, სამზარეულოში პრეზიდენტის წინასაარჩევნო პლაკატიდან ამოჭრილი სურათი აქვს გაკრული. ოჯახში ყველა მხოლოდ სააკაშვილზე საუბრობს. თვიდან-თვემდე პენსიაზე დამოკიდებული ცოლ-ქმარი ამბობს, რომ პრეზიდენტი საკუთარი შვილივით უყვართ.

„თუ ჩემს პრეზიდენტს და ჩემს ქვეყანას დასჭირდება, მზად ვარ სიცოცხლე შევწირო. ბევრს ეგონა, რომ ნათესავები ვიყავით, მაგრამ შვილებს ვფიცავარ, ასე არ არის. განა არ შეიძლება მიყვარდეს ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი?! ჩემი ოცნება იყო მისი ნახვა და ეს ოცნება ამიხდა“ — ამბობს ცირა ჯავახიშვილი.

საუბარში მისი მეუღლე ერთვება. „თავიდან ძალიან ვღელავდით, მაგრამ პრეზიდენტი ისეთი ადამიანია, რომ თვითონ მოგვიხსნა ეს დაძაბულობა. რაც შეეხება 100-ლარიან პენსიას, თავადაც ბრძანა, რომ ეს არაა საკმარისი, მაგრამ ამ ეტაპზე მეტის საშუალება არ არის“ — გვიხსნის გიორგი ჯავახიშვილი.

ჩვენ დავინტერესდით, როგორ აარჩიეს ასობით რუსთაველი პენსიონერის ოჯახიდან სწორედ მათი ოჯახი. აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტს მასპინძელი ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ შეურჩია.

„ჩვენი ძვირფასი გუბერნატორი იყო წინა დღეს ჩვენთან მოსული. გაგვესაუბრა და, ალბათ, მოვეწონეთ. მითხრა, ხვალ მოვალ და პენსიას პირადად გადმოგცემთო. მე ნამდვილად არ ვიცოდი, რომ პრეზიდენტი მობრძანდებოდა. გუშინ ბაზარში ვიყავი წასული ხილის მოსატანად და რომ მოვედი პოლიციით იყო ეზო სავსე. შემეშინდა, რა ხდება, ვინმეს ხომ არ იჭერენ-მეთქი და მაშინ გავიგე, რომ ჩემი პრეზიდენტი მობრძანდებოდა“— ამბობს ცირა ჯავახიშვილი. ჩვენ შეკითხვაზე, თუ როგორ მოხვდნენ მის ეზოში პრეზიდენტის დასახვედრად რუსულად მოსაუბრე მეზობლები, გვიპასუხებს, რომ ისინი გვერდითა კორპუსში ცხოვრობენ. ამ ინფორმაციის სისწორეში ჩვენს დასარწმუნებლად მეზობელი ეთერ კიკნაძე შემოჰყავს.

„ახლა, რომ მაჩვენოთ სატელევიზიო სიუჟეტი, ყველას გეტყვით ვინ ვინ არის. ჩვენი მეზობლები არიან. აქვე, ბაზარში მუშაობენ და, ალბათ, რომ გაიგეს თვითონ წამოვიდნენ. რაც შეეხება თქვენს კითხვას გზასთან დაკავშირებით, მერე რა, რომ გზა ახლა დააგეს?! აქ თქვენ არ გამოგადგათ ეს გზა აქ მოსასვლელად?! ზურგზე ხომ არ მოუკიდებია პრეზიდენტს და ხომ არ წაუღია?!“ — გვეკითხება ეთერ კიკნაძე.

**მანონ ბოკუჩავა,**
**ქვემო ქართლი**




სამეგრელოს მხარე

## ანაკლიის აღორძინება ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე?!

**საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნონა თოლორაიას განმარტებით, ორ წელიწადზე მეტია ანაკლიის მოსახლეობას წართმეული აქვს დაკანონებული საკუთარი ქონების განკარგვის უფლება. ზუსტად ორი წელიწადია ანაკლიაში შეჩერებულია სახლ-კარის, მიწის, სხვა ქონების დაკანონება, რეესტრში გატარება, ხოლო იმათ, ვისაც რეესტრში აქვთ საკუთრება გატარებული, გააჩნიათ ელექტრონული ვერსია... საჭიროებისამებრ, საკუთარი ქონების განკარგვის შესაძლებლობა — სახლ-კარის, მიწის ნაკვეთის გაყიდვის, ყიდვის, ბანკში გირაოდ ჩადების უფლება კი არა აქვთ! საჯარო რეესტრი საკუთრების დამადსტურებელ ამონაწერს არავის აძლევს. საჯარო რეესტრს „საჯარო“ პროკურატურა განკარგავს, — აცხადებს ნონა თოლორაია.**



**ბუნებრივია, ანაკლიელები შენების, აღმშენებლობის, განახლების წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ... ეს არ უნდა მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის აწიოკების ხარჯზე.**

## გია ალასანია: საკრებულოში აქეთ დამადანაშაულეს!

**„თავისუფალი დემოკრატების“ — ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელის, ზუგდიდის საკრებულოს წევრის გია ალასანიას განცხადებით, მთელ ზუგდიდში თანამდებობაზე ნათესაური ნიშნით, არასწორად ინიშნებიან. მაგალითად, ზუგდიდის სპორტული განვითარების ცენტრის მთავარ სპეციალისტად დაინიშნა პარლამენტის წევრის ლაშა დამენიას სიმამრი გონელი ყოლბაია, რომელსაც არც განათლებით, არც წარსული საქმიანობით არანაირი შეხება არ ჰქონია სპორტთან; ასევე, ზუგდიდის გამგებლის მოადგილის რუსლან კილასონიას მეუღლე დანიშნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამხედრო განყოფილების წამყვან სპეციალისტად! ყოველივე ამის შესახებ, თქვა გია ალასანიამ, მე განვაცხადე საკრებულოს სოციალური, ჯანდაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის სხდომაზე, რომლის წევრიც ვარ და ნაცვლად იმისა, რომ უმრავლესობას ობიექტური პასუხი გაეცა ჩემთვის, ადამიანის უფლებათა შელახვაში აქეთ დამადანაშაულეს!..**

**ასე ესმით კრიტიკა და თვითკრიტიკა ზუგდიდის საკრებულოში.**

**ლადო ქირია**

## ადამიანის უფლებები საქართველოში

**სისასტიკითა და არაადამიანურობით ცნობილი მეგის ქარდავა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციიდან თავდაცვის სამინისტროში გადაიყვანეს. ეს ინფორმაცია „ობიექტივმა" სარწმუნო წყაროსგან შეიტყო და თავდაცვის სამინისტროში გადაამოწმა. ამავე უწყების საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსმა სალომე მახარაძემ ჩვენთან სატელეფონო საუბრისას მეგის ქარდავას თავდაცვის სამინისტროში გადაყვანა დაადასტურა და დაგვპირდა, რომ 20 წუთის შემდეგ გვეტყოდა თუ რა თანამდებობა უკავია ქარდავას. სალომე მახარაძესთან ხელმეორედ დაკავშირება არაერთხელ ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ — მან ჩვენს სატელეფონო ზარებს აღარ უპასუხა.**

მეგის ქარდავას სახელი ბოლოს მსჯავრდებულ მალხაზ არქანიას საქმესთან დაკავშირებით წამოტივტივდა — პატიმარმა 2011 წლის 22 ივნისს სახალხო დამცველის წარმომადგენელს სკანდალური ახსნა-განმარტება მისცა, რომელშიც აღწერს გლდანის №8 საპყრობილეში როგორ შევიდა მეგის ქარდავა, როგორ შეაჭამა პატიმარს თავისი ჩვენება და როგორ აწამა იგი...

მეგის ქარდავას სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციიდან თავდაცვის სამინისტროში გადაყვანის ფაქტს „დაიცავი საქართველოს" წარმომადგენელი კახა მიქაია, რომელიც ზუგდიდში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ჩვენთან სატელეფონო საუბრისას დაწინაურებად აფასებს და ამბობს, რომ „ამაში გასაკვირი არაფერია", რადგან „სააკაშვილის რეჟიმის სიძლიერე ბევრად იყო დამოკიდებული მეგის ქარდავას სისასტიკეზე".

ახალაიების მარჯვენა ხელად ცნობილი მეგის ქარდავას არსებობის შესახებ საზოგადოებამ მას შემდეგ შეიტყო, რაც ბაჩო ახალაია სახალხო დამცველის აპარატიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ გადაიყვანეს (2005 წელი). მეგის ქარდავას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა. მის სახელს უკავშირდება პატიმართა ცემა-წამების არაერთი ფაქტი, რის შესახებამ ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი თავის მოხსენებებსა და ანგარიშებში მიუთითებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ უფლებადამცველების მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, საგაზეთო სტატიებსა და სატელევიზიო სიუჟეტებზე.

ბაჩო ახალაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან თავდაცვის მინისტრის მოადგილედ 2008 წლის დეკემბერში გადაიყვანეს და რვა თვის შემდეგ მინისტრის პორტფელიც ჩააბარეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან ახალაიას მეგის ქარდავაც მიჰყვა, ოღონდ არა თავდაცვის სამინისტროში — ის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს.

„მეგის ქარდავა იყო და არის ახალაიების მარჯვენა ხელი. სამეგრელოში ის იყო არაადამიანურობით ცნობილი, ყველაზე სასტიკი პოლიციელი. ახალაიებმა და სააკაშვილმა ქარდავა დააწინაურეს და თბილისში გადაიყვანეს. ამაში გასაკვირი არაფერია. მეგის ქარდავა სამხარეო პოლიციის უფროსის თენგიზ გუნავას მოადგილე გახლდათ, რომელიც თავისი „აქტიურობით" გამოირჩევა, მაგრამ მეგის ქარდავასთან შედარებით გუნავა მამა აბრამის ბატკანია.

მეგის ქარდავა მონაწილეობდა ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართულ ყველა აქციაში, როცა ზუგდიდში ოპოზიციონერებს სცემდნენ, აგინებდნენ, როცა არჩევნებს აყალბებდნენ. მეგის ქარდავა ამ ბოლო პერიოდში სამეგრელოში მომხდარი ყოველივე უკეთურობის, ადამიანების ცემის, გატაცების მონაწილეა. მეგის ქარდავას თავისი „ზონდერ" ჯგუფი ჰყავს. ის ყველაფერს აკეთებდა და გააკეთებს, რათა მთელი სამეგრელო დაშინებული და უფლებააყრილი იყოს. სააკაშვილის რეჟიმის სიძლიერე (თუ ამას სიძლიერე ჰქვია) ბევრად იყო დამოკიდებული მეგის ქარდავას სისასტიკეზე", — ამბობს „დაიცავი საქართველოს" წარმომადგენელი კახა მიქაია.

ადვოკატმა ლექსო არქანიამ მეგის ქარდავას „დაწინაურების" ამბავი იცოდა, მაგრამ კონკრეტულად რა თანამდებობაზე და სად იყო გადაყვანილი, ამაზე ინფორმაცია არ ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ ადვოკატი ლექსო არქანია იცავდა მსჯავრდებულ მალხაზ არქანიას უფლებებს, რომელიც ამავდროულად პატიმრის ბიძაშვილია. პატიმრის ოჯახის სურვილის მიუხედავად, მესამე თვეა, რაც ლექსო არქანიას არ აძლევენ მსჯავრდებულ მალხაზ არქანიას დაცვის უფლებას.

ამ ფაქტის ირგვლივ დეტალურადაა ინფორმირებული ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია. საქართველოში ყოფნის დროს ამ საერთასორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის დახმარებით ლექსო არქანიას შეხვდნენ და ესაუბრნენ. ამასთან, 1 ივლისს მალხაზ არქანიას სკანდალური ახსნა-განმარტება ზაზა ხატიაშვილმა ევროკავშირის ელჩს ფილიპ დიმიტროვს გადასცა და არქანიას წამების ირგვლივაც ესაუბრა, მაშინ როცა სასტუმრო „ქორთიად მერიოტში" წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს აღნიშნავდნენ.




არქანიების შესახებ ბრიუსელშიც არიან ინფორმირებულები —მედია-კავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა ივლისში ბრიუსელში ყოფნისას ინგლისურ ენაზე გადათარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული მალხაზ არქანიას სკანდალური ახსნა-განმარტება და საქმის მასალები გადასცა: ევროპარლამენტის წარმომადგენლებს; ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრებს; ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის აპარატს და ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბაროზოს აპარატს.

22 ივნისს მიცემული სკანდალური ახსნა-განმარტებიდან იმ ამონარიდს გთავაზობთ, რომელიც თავდაცვის სამინისტროში გადაყვანილ მეგის ქარდავას ეხება:

„2011 წლის 19 მაისს ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით გადმომიყვანეს №8 საპყრობილეში, სადაც ამჟამად ვიმყოფები. №8 საპყრობილეში შემოყვანიდან მეორე დღეს დირექტორის კაბინეტში ამიყვანეს, სადაც დამხვდა მეგის ქარდავა, რომელმაც მითხრა, რომ დამეწერა აღიარებითი ჩვენება ზუგდიდში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით. მე განვუმარტე, რომ აღნიშნულ დანაშაულებთან არანაირი შეხება არ მქონია, რაზეც მან უთხრა ჩემთვის უცნობ ორ პირს, რომ ჩავეყვანე კარანტინში.

ჩაყვანის დროს ისინი მირტყამდნენ. ჩაყვანისას მათ მიმიყვანეს ერთ-ერთი საკნის კართან და შემახედეს სათვალთვალოში, სადაც დავინახე, თუ როგორ აუპატიურებდა მამაკაცი მამაკაცს. თან მეუბნებოდნენ, რომ კარგად მეყურებინა და დამემახსოვრებინა. მეუბნებოდნენ, რომ თუ არ დავწერდი აღიარებით ჩვენებას, იმავეს მიზამდნენ.

ამის შემდეგ მომცეს ფურცელი და კალამი, მითხრეს დამეწერა აღიარებითი ჩვენება თავის გადასარჩენად. ჩვენებაში დავწერე სხვადასხვა დროს ტელევიზიაში გასული აფეთქების შესახებ და მივუთითე, რომ აღნიშნულში მონაწილეობა მქონდა მიღებული.

ეს ნაწერი მეგის ქარდავას აუტანეს და ცოტა ხნის მერე მეც ამიყვანეს. რომ შემიყვანეს, მეგის ქარდავა ჩემს ნაწერს კითხულობდა და მითხრა, რომ ეს არ იყო ის ჩვენება, რომელიც მას სჭირდებოდა და მითხრა, რომ შემეჭამა ის ნაწერი. ვინც მეგისთან მიმიყვანა, იმან ძალით შემაჭამა ის ქაღალდის ნაწერი. მერე ეუბნება, რომ ისევ ჩავეყვანე ქვემოთ — „მოტყ...., მაგის დედა ვატირე, ......... ....".

ჩამიყვანეს ქვემოთ, შემაგდეს კარანტინში და კარები დახურეს. ამის შემდეგ იხსენება ტუალეტის კარი და გამოდის ორი ნიღბიანი მამაკაცი. ისინი მეცნენ, რომ ჩამეხადა შარვალი, მაგრამ მე წინააღმდეგობა გავუწიე. ერთი ეუბნება მეორეს - „წესიერად დამიკავე, ეს ნაბიჭვ... უნდა მოვტყ...".

უცბად გაიღო „კარმუშკა", საიდანაც იყურებოდა ორი პირი, ვინც მეგის ქარდავას ახლდა, და ამასთან მიღებდნენ სურათს. ამ დროს საკანში დამაგდეს იატაკზე, შარვალჩახდილი და ერთი მეორეს ეუბნებოდა „ჯერ პირში მივც.. და მოვტყ....".

აღნიშნულზე მე დავიწყე თავის დარტყმა ბეტონზე. ამ დროს შემოვიდა გარეთ მყოფი ის ორი პირი; ერთ-ერთმა თავზე ფეხი დამადო, რომ არ ამეწია. ამ დროს უკვე ვიყავი შებოჭილი. მეორე პირმა მომადო თავის სასქესო ორგანო და გადამიღეს სურათი. შემდეგ შემეშვნენ. ორი ნიღბიანი საკნიდან გავიდა, ხოლო საკანში ქარდავას თანხლებით ის ორი ტიპი .... (სიტყვა ვერ გავარჩიეთ. **ობიექტივი**"). მათ მითხრეს, რომ თუ არ მივცემდი აღიარებით ჩვენებას, ისინი მართლა გამაუპატიურებდნენ და ზემოაღნიშნულ სურათებს ინტერნეტში დადებდნენ. გაუპატიურებისა და ცემის შიშით დამაწერინეს მათთვის სასურველი აღიარებითი ჩვენება, მოწმის სახით".

„ობიექტივთან" საუბრისას ადვოკატი ლექსო არქანია ამბობს, რომ მსჯავრდებულ მალხაზ არქანიას მისი ოჯახის წევრები (და მეუღლე) ბოლოს 9 სექტემბერს შეხვდნენ.

„ყბებიც რომ უკანკალებს, ისეთ მდგომარეობაშია, ცახცახებდაო, — მითხრეს. პატიმარი ფსიქოლოგიურად დათრგუნული დახვდათ. მაშინ, როცა ის ბოლოჯერ მოვინახულე, მარცხენა ხელზე ვენების გადაჭრის კვალი აღენიშნებოდა. ახლა მარჯვენა ხელზე ემჩნევა ანალოგიური. მან თავი აარიდა იმის დაკონკრეტებას, თუ რატომ ჰქონდა ეს.

თავად ამბობს (მაგრამ რამდენად რეალურია, რთული სათქმელია), რომ 22 ივნისს სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მიცემული ახსნა-განმარტების შემდეგ მასთან გამომძიებელი მხოლოდ ერთხელ, 24-ში თუ 25-ში შევიდა, ანუ ეს ის მომენტია, როცა ჩემზე აცილება მიაცემინეს. მისი განმარტებით, 25 ივნისის შემდეგ მასთან მიმართებაში არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ განხორციელებულა.

თქვენთვის ცნობილია, რომ მასთან არ მიშვებენ. ოჯახის წევრებს უთხრა, რომ მიტოვებულად გრძნობს თავს, რადგან მის მოსანახულებლად თვეზე მეტია არავინ შესულა, წითელი ჯვრის ორჯერ სტუმრობას თუ არ ჩავთვლით.

ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიიდან ელექტრონული ფოსტით წერილი მივიღე - მათ აინტერესებთ ბოლო ინფორმაცია და მონაცემები მალხაზ არქანიასთან დაკავშირებით. ისინი საერთაშორისო დასკვნაზე მუშაობენ, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომი გახდება როგორც საერთაშორისო, ისე ქართული საზოგადოებისთვის.

რადგან თქვენთან საუბრისას თავდაცვის სამინისტროში დაადასტურეს, რომ მეგის ქარდავა სამუშაოდ ამ უწყებაში გადაიყვანეს, ახლა ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიას მივწერ, რომ იმას, ვინც საქართველოში ადამიანებს აწამებს და გაუპატიურებით ემუქრება, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის და დასჯის ნაცვლად აწინაურებენ და დედაქალაქში გადმოჰყავთ. დარწმუნებული ვარ, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დასკვნაში ქარდავას დაწინაურების ფაქტიც იქნება ასახული", — ამბობს ადვოკატი ლექსო არქანია.

ჩვენთვის უცნობია, რა რეაქცია ექნებათ ამერიკელებს და რას უპატაკებენ ისინი თეთრ სახლს, ადამიანების ცემა-წამებით ცნობილი მეგის ქარდავას თავდაცვის სამინისტროში გადაყვანის ფაქტთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ WikiLeaks-მა 11 ივლისს გამოაქვეყნა 2009 წლის სექტემბერში აშშ-ის საელჩოდან ვაშინგტონში გაგზავნილი წერილი, სადაც აღწერილია მიხეილ სააკაშვილის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილესთან თინა ქეიდენაუსთან საუბრის შინაარსი, რომელშიც ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრად გადაყვანის შესახებაც არის მითითებული:

„მან ასევე გამოხატა შეშფოთება საქართველოს თავდაცვის ახალ მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელსაც ცუდი რეპუტაცია აქვს განსაკუთრებით ადამიანის უფლებების ხელყოფასთან დაკავშირებით. ამის საპასუხოდ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოუწოდა აშშ-ს, შანსი მისცეს ახალაიას, რომ დაადასტუროს თავისი ერთგულება რეფორმების მიმართ".


**ნინო მიქიაშვილი.**


## ინფორმაცია

### გაფიცვის მონაწილეებს ხელწერილი დააწერინეს, რომ პროტესტს აღარ გამოხატავენ

პროფკავშირების ინფორმაციით, ქუთაისში, მეტალურგების გაფიცვის მონაწილეებს აიძულებენ, რომ პროტესტი აღარ გამოხატონ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" პროფკავშირების წარმომადგენელმა თამაზ დოლაბერიძემ განუცხადა, პოლიციაში აქციის მონაწილეებს ხელწერილი დააწერინეს, რომ პროტესტს აღარ გამოხატავენ და სამუშაო ადგილებს დაუბრუნდებიან.




მისივე განცხადებით, დაკავებულები წუხელ, ღამის 03:00 საათზე ქალაქის მთავარი სამმართველოდან გაათავისუფლეს. დოლაბერიძის თქმით, მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა.

მისივე განცხადებით, თავად არის მოწმე იმისა, თუ როგორ დაშალეს აქცია და ათობით ადამიანი როგორ დააკავეს.

მეტალურგების საპროტესტო აქცია ქუთაისში სამართალდამცავებმა გუშინწინ ღამით დაშალეს და აქციის 40-მდე მონაწილე დააკავეს. საია-ს ინფორმაციით, ისინი მოგვიანებით გაათავისუფლეს.

შრომითი პირობების გაუმჯობესებისა და საწარმოდან დათხოვნილი 17 თანამშრომლის სამუშაოზე აღდგენის მოითხოვნით, ქართულ-ინდური საწარმო „ჰერკულესის" 4 მეტალურგი რამდენიმე დღე შიმშილობდა, 100-მდე მუშას კი 13 სექტემბრიდან გაფიცვა ჰქონდა გამოცხადებული.

WIKILEAKS

# მერაბიშვილი აფხაზეთისთვის საერთაშორისო დახმარების წინააღმდეგი იყო

**WikiLeaks-ის ინფორმაციით, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით აშშ-ის პოლიტიკის შესამუშავებლად ამერიკელი დიპლომატები რჩევისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს მიმართავდნენ.**

ცნობებს ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩის 2007 წლის 11 მაისით დათარიღებული საიდუმლო დეპეშები შეიცავს, რომლებიც WikiLeaks-მა გამოაქვეყნა. დოკუმენტებში ჯონ ტეფტს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ამერიკელ დიპლომატებთან მერაბიშვილის საუბრები მოჰყავს.



**„ვანო მერაბიშვილმა „ფუჭი“ უწოდა ჩემს იმედებს, რომ სერგეი ბაღაფშს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გარდატეხის შეტანა შეუძლია. მან ბაღაფში „ბრეჟნევის ეპოქის ტიპურ ადმინისტრატორად“ დაახასიათა, რომელიც „ენერგეტიკულ სფეროში მრავალ კორუფციულ გარიგებაშია გარეული, რაც რუსებს გავლენის დამატებითი ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს“**, — აღნიშნავს WikiLeaks-ის ინფორმაციით დეპეშაში ტეფტი.

სკანდალური საიტის მტკიცებით, დოკუმენტის თანახმად, **„შს მინისტრი არწმუნებდა ამერიკელ დიპლომატებს, რომ ბაღაფში არასდროს წავა არაპოპულარულ ნაბიჯებზე, აფხაზეთში ჩამოყალიბებულ ტრადიციებს არ დაარღვევს და რეგიონში რუსული „ეფ-ეს-ბეს“ მიერ დანიშნულ კადრებს ღიად არ დაუპირისპირდება“.**

**„მერაბიშვილი ასევე ამტკიცებდა, რომ ბაღაფშს სერიოზული პრობლემები აქვს ალკოჰოლიზმთან დაკავშირებით, რაც მის ჯანმრთელობაზე აისახება. მისივე თქმით, ბაღაფში, მმართველობას ფაქტობრივად ჩამოშორდა და საკუთარი მოვალეობები ვიცე-პრეზიდენტ ანქვაბს გადააბარა. მერაბიშვილმა ამერიკელებს გაუზიარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბაღაფშის სიტყვები, თითქოს „აფხაზეთი თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევს“ (რაშიც აფხაზთა ლიდერი დასავლელ დიპლომატებს პრივატული საუბრებისას არწმუნებდა), სერიოზულად არ უნდა იყოს აღქმული და დასავლეთის შეცდომაში შეყვანას ემსახურება“**, — ნათქვამია WikiLeaks-ის ინფორმაციით ელჩის დეპეშაში.

მისივე მტკიცებით, ტეფტი წერდა, რომ „მერაბიშვილი ასევე სკეპტიკურად იყო განწყობილი აფხაზეთისთვის ეკონომიკური დახმარების მიმართ და თვლიდა, რომ ასეთი გეგმის განხორციელება 10-15 წლის შემდეგ შეიძლება, ახლა კი ის სასურველ ეფექტს ვერ გამოიღებდა“.

**„შს მინისტრის აზრით, აფხაზებზე ზეგავლენას მოახდენს იმის გაცნობიერება, რომ ისინი სერიოზულად ჩამორჩებიან საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, ხოლო თუკი ისინი საერთაშორისო დახმარებას მიიღებენ, შესაძლოა, მათ ეს ჩამორჩენა ვერც იგრძნონ“**, — მიიჩნევდა WikiLeaks-ის ინფორმაციით მერაბიშვილი.

ინფორმაცია

## სეპარატისტებმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება დაარღვიეს და განიარაღებულ სოხუმზე შეტევა დაიწყეს

18 წლის წინათ, 1993 წლის 16 სექტემბერს, აფხაზმა სეპარატისტებმა, ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებთან, კაზაკთა ფორმირებებთან და რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმიის ნაწილებთან ერთად, დაარღვიეს სოჭში 27 ივლისს ბორის ელცინის შუამდგომლობით ედუარდ შევარდნაძესა და ვლადისლავ არძინბას შორის გაფორმებული „თავდაუსხმელობის, ცეცხლის შეწყვეტისა და სამხედრო ტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის შესახებ“ შეთანხმება და აფხაზეთში, პრაქტიკულად უიარაღოდ დარჩენილ ქართველ მებრძოლებზე იერიში მიიტანეს.



27 ივლისს რუსეთის შუამავლობით შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთს ტოვებდა ყველა დაქირავებული მებრძოლი და მძიმე ტექნიკა, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ფორმირებების უმეტესობა. სოხუმიდან უნდა გასულიყო ქართული არმიის ჯავშანტექნიკა და არტილერია. აფხაზური ტექნიკის გაყვანაზე კონტროლი აფხაზეთში იმ დროისთვის დისლოცირებულ რუსულ ნაწილებს დაევალათ. 27 ივლისი პრაქტიკულად კაპიტულაციას ნიშნავდა.

„ქართველებს ტექნიკა და მძიმე შეიარაღება ქალაქიდან გაჰყავდათ, ჩვენ კი კამერის წინ მხოლოდ ერთ ნალმტყორცნს დავაგორებდით იქით -აქეთ და ამით ტექნიკის გაყვანის იმიტაციას ვქმნიდით“, — ნათქვამია აფხაზური მხარის მიერ შეთანხმების შესრულების შესახებ ერთ-ერთი დაქირავებული ბოევიკის მოგონებებში.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მტერს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ვინაიდან იმ დროისთვის, ქართული მხარის მიერ ზემოხსენებული შეთანხმების ზედმიწევნით შესრულების გამო, ქართველი მებრძოლები განიარაღებული იყვნენ და სოხუმიდან, მისი შემოგარენიდან და აფხაზეთის თითქმის ყველა რაიონიდან მძიმე და საბრძოლო ტექნიკა გაყვანილი იყო.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 13 თვესა და 13 დღეს გაგრძელდა და 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა.

ჯი-ეიჩ-ენი

„ნაბუკოს“ გარშემო

# ყინული დაიძრა: მოსკოვის პროტესტს ევროპამ მტკიცედ უპასუხა

ბოლო დრომდე „გაყინული“ „ნაბუკოს“ პროექტი, რომლის საშუალებითაც დასავლეთ ევროპა კასპიის აუზის ბუნებრივი აირით იქნება უზრუნველყოფილი და რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით როგორც ევროპისთვის, ისე საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, „ყინული დაიძრა“. ევროკავშირის ბოლო გადაწყვეტილებით, ევროკომისიას ბაქოსთან და აშხაბადთან მოლაპარაკებების დაწყება დაევალა. ევროკავშირის გადაწყვეტილებას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან შესაბამისი რეაქცია უკვე მოჰყვა: რუსეთის ხელისუფლებამ აზერბაიჯანთან და თურქმენეთთან მილსადენის გაყვანის საკითხზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ ევროკავშირის გადაწყვეტილება გააკრიტიკა და განაცხადა, რომ „ასეთი შეთანხმება საერთაშორისო სამართლებრივ რეალობას და რეგიონის გეოპოლიტიკურ სიტუაციას არ ითვალისწინებს“. მოსკოვის მხრიდან ასევე აღინიშნა, რომ „კასპიის რეგიონიდან მიღებულ ბუნებრივ აირთან დაკავშირებული ყველა საკითხი კასპიის ზღვის მოსაზღვრე 5-მა სახელმწიფომ — რუსეთმა, თურქმენეთმა, აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა და ირანმა უნდა გადაწყვიტონ“. ოფიციალური მოსკოვის საპასუხოდ ევროპელმა დიპლომატებმა განაცხადეს, რომ „სამხრეთ ნაკადის“ განხორციელებას არ მიესალმებიან და ევროპა ყაზახურ და თურქმენულ გაზს რუსეთის გავლით არ მიიღებს.

საერთაშორისო საკითხებში ექსპერტის ზურაბ აბაშიძის აზრით, ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა პროექტის განხორციელების ობიექტური და სუბიექტური პრობლემები რჩება.



**„მათ შორის ერთ-ერთი რუსეთის ფაქტორია. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ კასპიის ზღვაში ნებისმიერი დიდი პროექტი შეთანხმებული უნდა იყოს ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან. ამის შესახებ ფაქტობრივი დოკუმენტები არსებობს. ეს საკმაოდ მკაცრი განცხადებაა იმის შესახებ, რომ ამ პროექტის განხორციელება რუსეთის ინტერესებში არ შედის. თუ რას მოიმოქმედებს მოსკოვი პროექტის განხორციელების საწინააღმდეგოდ, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს განცხადება მნიშვნელოვანია და მისი ყურადღების მიღმა დატოვება არ შეიძლება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს განცხადება სხვა დედაქალაქებშიც ყურადღებით მოისმიეს. თავის დროზე, სანამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ამოქმედდებოდა, უამრავი სირთულე იქნა გადალახული როგორც ფინანსური, ისე პოლიტიკური, ეკოლოგიური თუ საორგანიზაციო კუთხით და ამას ძალიან დიდი ხანი დასჭირდა, მაგრამ საბოლოოდ პროექტი განხორციელდა. „ნაბუკო“ თავისი მასშტაბით კიდევ უფრო დიდი და რთული პროექტია, შესაბამისად, მისი განხორციელების კუთხით პრობლემების მთელი კომპლექსია და ყველაფერ ამას მოგვარება დასჭირდება“**, — განუცხადა „პირველს“ აბაშიძემ და აქვე დასძინა, რომ „ნაბუკო“ ის პროექტია, რომელიც საქართველოს გლობალური სახის საერთაშორისო პროექტებში კიდევ ერთხელ ჩართავს“.

**„ნაბუკომ“ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიაროს, ეს ჩვენი ქვეყნისთვის როგორც პოლიტიკური, ისე წმინდა ეკონომიკური ფასეულობაა. ეს არის დამატებითი შემოსავალი, დამატებითი სამუშაო ადგილები, დამატებითი აქტუალობა. ბაქო-ჯეიჰანისა და სხვა პროექტებმა საქართველოს ფუნქცია უკვე გაზარდა, „ნაბუკო“ კი ჩვენს გეოსტრატეგიულ პოზიციას კიდევ უფრო გაზრდის“**, — დასძინა აბაშიძემ.




ეკონომიკის ექსპერტი ნოდარ ხადური ევროპის მხრიდან დაფიქსირებულ პოზიციას „წინ გადადგმულ ნაბიჯად“ აფასებს, თუმცა რუსეთთან ერთად თურქეთის მხრიდან მოსალოდნელ წინააღმდეგობაზე საუბრობს.

**„რუსეთი ყოველთვის წინააღმდეგი იქნება მსგავსი პროექტებისა. მისასალმებელია, რომ ევროკავშირი ცდილობს, ამ ვითარებაში ალტერნატიული გზები მოძებნოს. შეიძლება, ითქვას, რომ ეს პროცესი დაიძრა, თუმცა ყველაფერთან ერთად, გასათვალისწინებელი და შესაბამისად, საინტერესოა თურქეთის პოზიციაც, როგორც „ნაბუკოს“ ცენტრალური სატრანზიტო ქვეყნისა. ირანულმა, თურქმენულმა თუ აზერბაიჯანულმა გაზმა - ყველამ თურქეთში უნდა მოიყაროს თავი და შემდეგ სხვა ქვეყნებში იქნეს ტრანსპორტირებული. თავის დროზე ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული საუბრები იყო. ახლა რა მდგომარეობაა, ვერ გეტყვით“**, — განუცხადა „პირველს“ ხადურმა.



ცნობისთვის: ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნა თურქეთის მიმართ ის არის, რომ მან ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაცია მოხსნას და ქურთების გენოციდი აღიაროს. ამასთან, ძირითად წინაღობას წარმოადგენს რელიგიური ფაქტორიც, კერძოდ, ის შეზღუდვები, რომელსაც თურქეთი ქვეყნის მოქალაქეებს რელიგიური მრწამსის გათვალისწინებით უყენებს. ამასთან დაკავშირებით ყურადღება სიკვდილით დასჯის ფაქტორზეც მახვილდება. თურქეთი, თავის მხრივ, ევროკავშირს „ქრისტიანულ კლუბს“ უწოდებს და თვლის, რომ მას ორგანიზაციაში სწორედ სარწმუნოებრივი განსხვავების გამო არ იღებენ.

ამასთან დაკავშირებით ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე თვლის, რომ „ნაკლებ სავარაუდოა, თურქეთმა „ნაბუკოს“ განხორციელებას ხელი შეუშალოს“.

**„ეჭვი იმისა, რომ თურქეთმა შესაძლოა, „ნაბუკოს“ „ევროპულ“ პროექტს ხელი შეუშალოს, თურქეთ-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე გაჩნდა. მათ მართლაც ბევრი საერთო ინტერესი გააჩნიათ, მაგრამ არის მეორე მხარეც — თურქეთისა და რუსეთის დამაპირისპირებელი ინტერესები კავკასიასთან დაკავშირებით. თურქეთი ისეთი ქვეყანაა, რომელიც არც ერთ შანსს ხელიდან არ უშვებს. ვფიქრობ, იგი ეცდება, ორივე პროექტი — „ევროპული“, „ნაბუკოც“ და რუსული „სამხრეთ ნაკადიც“ განახორციელოს“**, — განაცხადა არეშიძემ.

რაც შეეხება იმას, რამდენად შესაძლებელია, თურქეთმა „ნაბუკო“ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის გამოიყენოს, ექსპერტი ამასაც ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევს.



**„ვფიქრობ, ეს ნაკლებ სავარაუდოა, რადგან თურქეთს ბევრი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი - ოკუპირებული ჩრდილოეთ კვიპროსი და ქურთების საკითხი. არის კიდევ ერთი ვარიანტი - თურქეთის უარის შემთხვევაში პროექტის განხორციელება ირანის გავლით მოხდეს, თუმცა ვიმეორებ, ნაკლებ სავარაუდოა, თურქეთმა „ნაბუკო“ ხელიდან გაუშვას“**, — განუცხადა „პირველს“ არეშიძემ.

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით ოპტიმიზმის საფუძველს ექსპერტს რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადების საპასუხოდ ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებაც აძლევს.

**„ევროპელმა დიპლომატებმა ოფიციალური მოსკოვის საპასუხოდ ხმამაღლა განაცხადეს, რომ „სამხრეთ ნაკადის“ განხორციელებას არ მიესალმებიან და ევროპა სხვა ქვეყნის გაზს რუსეთის გავლით არ მიიღებს. საუბარია ყაზახური და თურქმენული გაზის რუსეთის გავლით მიღებაზე“**, — დასძინა არეშიძემ.

**ირინა არდაშელიძე**

კითხული კაცის აზრი

# ხანგრძლივი პროცესის მხოლოდ დაწყებას დიპლომატიურ წარმატებად ვერ გაასაღებ



**თბილისში დასრულებული მორიგი ამბასადორიალის შედეგებზე, საგარეო უწყებისა და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების მკვლევარს, ავსტრიასა და უნგრეთში საქართველოს ყოფილ ელჩს კოტე ჟღენტს ესაუბრა.**

**— ბატონო კოტე, წლევანდელი ამბასადორიალი დასრულდა. ამ თემაზე აღმატებულ ფორმებში ტელევიზიებით არა ერთმა ქართველმა დიპლომატმა ისაუბრა. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ 2010-2011 წლებში სამინისტროს მუშაობა წარმატებულად შეაფასა. ვითარებაში, როცა საგარეო უწყების პრიორეტეტებად აღიარებულია ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, დემოკრატიული პროცესების განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრება და არც ერთი ამ მიმართულებით რაიმე ხელშესახები წარმატება მიღწეული არ არის, რამდენად უპრიანია საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის წარმატებულად შეფასება?**

— დიპლომატების გაკეთებული საქმე, ისევე როგორც სხვა პროფესიების ადამიანების, სხვამ უნდა შეაფასოს და არა — თვით გამკეთებელმა. მე არ ვაპირებ მათ კრიტიკას, ვისაც, ჩემი აზრით, კოლეგად ვთვლი და ვინც ძალიან მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დარჩა საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში. მათზე კი, ვისაც მხოლოდ თვითონ გონია თავი დიპლომატი, საუბარს საერთოდ არ ვაპირებ, რადგან ამ შემთხვევაშიც ჯერ ადამიანი უნდა იყო შენი ადამიანობით, სინდის-ნამუსით და შემდეგ — სამინისტროს ან საელჩოს თანამშრომელი. ამჟამინდელ დიპლომატიურ სამსახურში არის ხალხი, ვისაც ღიად იმასაც კი ვერ ვაკადრებ, რომ გულწრფელად თანავუგრძნობ და არის უმეტესი მათგანი, ვინც მეცოდება.

თან, ამ სამსახურში რაც ხდება, მთლიანად მათი ბრალიც არ არის, რადგან როგორც წინა, ისევე და უფრო მეტად ამ ხელისუფლების პირობებში, არ სურდათ და არ სურთ საერთაშორისო სტანდარტების და მაღალი ხარისხის პროფესიული დიპლომატიური სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც თვალდახუჭული არ შეასრულებს ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ მიღებულ, სახელმწიფოსთვის საზიანო გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება მინისტრის შეფასებას, ეს სხვანაირი ვერ იქნება, რადგან თუ სამსახური ცუდად ან შეცდომებით მუშაობს, პირველ რიგში მისი ხელმძღვანელი უნდა დაისაჯოს ან საერთოდ შეიცვალოს.

სრულიად გეთანხმებით, რომ იმ პრიორიტეტებში, რომლებიც თქვენ ახსენეთ, არც ერთი მიმართულებით რაიმე ხელშესახები წარმატება მიღწეული არ არის, მაგრამ უეჭველია, რომ მათგან ორ საკითხში — ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვაში, სწრაფი და შედეგიანი პროგრესის მიღწევაც კი შეიძლება, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით — რადგან მხოლოდ რეალური პროგრესი პირველ საკითხში განსაზღვრავს წარმატებას მეორეში, საჭიროა ჯერ პირველის, ოღონდ ვიმეორებ, რეალურად განხორციელება, რასაც მეორის განხორციელებაც მოჰყვება.

რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციასა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრებას, ჩემი აზრით და ჩემი აზრი ემთხვევა უცხოეთის პოლიტიკოსების და ექსპერტების 90%-ის აზრს (ვისაც კითხვა შეუძლია, დარწმუნდება), ხილულ მომავალში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ამაზე ვინ და რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს. მე ვგულისხმობ სრულ და რეალურ დეოკუპაციას და სრულ გაწევრებას და არა „ამ გზაზე სიარულს“ ან „ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას“, რაც ათეული წლების განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს.

ვერც ნატოს გენერალური მდივნის და ვერც საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტი, რეალურად, ვერანაირად ვერ დააჩქარებს ვერც ჩვენს ნატოში გაწევრებას და ვერც რუსეთის მიერ სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულებას. ისინი უფრო იმიტომ ჩამოდიან, ამგვარი რეალობის პირობებში „დიპლომატიური ვალი“ მოიხადონ და აჩვენონ, რომ საქართველო მთლად და სრულიად მარტო არ არის.

**— გასაგებია, რომ საგარეო უწყების ოთხივე პრიორიტეტის შეუსრულებლობა პრაქტიკულად ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ მიზნების მიღწევა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, სავარაუდოდ, გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. რადგან თქვენ თავად პრიორიტეტების ჩამონათვალსაც ეჭვის ქვეშ აყენებთ, უპრიანია გკითხოთ — საქართველოს საგარეო უწყების პრიორიტეტებად თქვენ რას დაასახელებდით?**

— ჩემი აზრით, ჩვენი საგარეო უწყების საქმიანობის დღევანდელი პრიორიტეტი ნეგატიური სახის (ვინც მიჩვეულია, „იმიჯი“ იხმაროს) აღმოფხვრაზე მუშაობა და ჩვენი ქვეყნისადმი ნდობის აღდგენაა. ამ მხრივ საზღვარგარეთ საქართველოს პრობლემები შეექმნა განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ, რაც იმავე უცხოელი პოლიტიკოსების და ექსპერტების დიდი უმრავლესობის აზრით, არაპროგნოზირებადმა და დაუფიქრებელმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა გამოიწვია.

დიპლომატიური სამსახურის საქმიანობის მიზანი სწორედ ამ მდგომარეობის გამოსწორება უნდა იყოს, რასაც ზურგს უნდა უმაგრებდეს არა „პიარული“, არამედ რეალური საშინაო რეფორმები დემოკრატიის განმტკიცების თვალსაზრისით. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც წამყვანი და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს არა „ნახევრად-დემოკრატიულ“, არამედ დემოკრატიულ ქვეყანად მოიხსენიებენ.

**— რამდენად რეალურად და რა პერიოდში გეჩვენებათ ეს მიზნები განხორციელებადი?**

— ვიმეორებ, რეალური დემოკრატიული ცვლილებების დაწყება საკმაოდ სწრაფად შეიძლება და როგორც კი უცხოეთი დაინახავს, რომ მაგალითად მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები რეალურად დემოკრატიულად ჩატარდა, და ქვეყანაში ხელისუფლების დემოკრატიული ცვლა მოხდა, ინვესტიციების მოზიდვის და ჩვენი სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გააქტიურების პროცესი მაშინვე დაიწყება. დაჩქარდება სხვა, ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური პროცესებიც, მაგრამ მათ განხორციელებას ჩვენს „რეალურად რეფორმირებულ“ ქვეყანაზე ხანგრძლივი დაკვირვება და სხვა, ჩვენგან დამოუკიდებელი პირობების შესრულებაც სჭირდება.

**— კარგა ხანია, ცნობილია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის საკითხებში თბილისი ბრიუსელის რეკომენდაციებს არ ასრულებს, მაგრამ წლევანდელ „ამბასადორიალზე“, საქართველოს მეგობარი ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის აუდრონიუს აჟუბალისის განცხადება - „საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება ნათელს გახდის რომელ მხარეს დგას საქართველო, სინგაპურის, თუ ბრიუსელის“ — აშკარად მოულოდნელი იყო. გნებავთ, დიპლომატიურ ენაზე და გნებავთ, ისედაც, რას შეიძლება ნიშნავდეს ლიტველი მინისტრის ეს განცხადება?**

— ლიტველი მინისტრის ეს განცხადება, ჩემი აზრით, ნიშნავს ერთ რამეს - საქართველომ როგორც სამთავრობო, ისე საპარლამენტო დონეზე თავი უნდა დაანებოს ისეთ განცხადებებს და პოლიტიკას, რომლის საფუძველი ევროკავშირის მოთხოვნების „ნაწილობრივ შესრულებაა“. ჩვენ ხშირად მოგვისმენია მმართველი გუნდის წევრებისაგან, რომ „ევროკავშირის მოთხოვნებში, რასაც ვეთანხმებით, შევასრულებთ და რასაც არა — (იმიტომ რომ თურმე ისინი „არ ითვალისწინებენ ქვეყნის სპეციფიკას“) არა“. არ შეასრულებ და ევროკავშირშიც „ნაწილობრივ მიგიღებენ“. ეს ხუმრობით, ისე კი, ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება ისევ ჩვენს ქვეყანაში რეალური დემოკრატიის აშენებას შეუწყობს ხელს, თორემ არა მგონია, განსაკუთრებით ბოლო წლების ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების გათვალისწინებით (საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი, შესაძლებელია იტალია, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ქვეყნებზე, როგორიც ბულგარეთი და რუმინეთია), ევროკავშირმა თავის რიგებში კიდევ ვინმეს მიღებაზე მიიღოს გადაწყვეტილება.

ზედმეტია ლაპარაკი უახლოესი 5-10 წლის პერიოდში ჩვენს ქვეყანასთან ევროკავშირის მხრიდან უვიზო მიმოსვლის ან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებაზეც. ხანგრძლივი პროცესის მხოლოდ დაწყებას წარმატებად ვერ გაასაღებ.

**— რაც შეეხება საგარეო პოლიტიკის ყველაზე პრობლემურ ქვეყანას - რუსეთს. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში საქართველომ რუსეთთან მიმართებაში პოზიცია არ უნდა შეიცვალოს, თუ საქართველომ რუსეთს დაუწყო თხოვნა დაკარგული ტერიტორიების როგორმე დაბრუნების თაობაზე, ეს გარდა იმისა, რომ დიდი შეცდომა იქნება, არც არაფერს არ მოგვცემს, ვინაიდან რუსეთი ქართულ-რუსულ მოლაპარაკებებში თბილისს არაფერს არ დაუთმობს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— მოლაპარაკებები იმისთვის არის მოგონილი, რომ არსებული უთანხმოებები გადაიჭრას. პირველი მეტყველი ადამიანი მეორეს, შეიძლება მასზე უფრო ღონიერს, პირველად ალბათ, იმიტომ დაელაპარაკა, რომ ის პრობლემა, რომელსაც ხედავდა, რომ ძალით ვერ მოაგვარებდა, მოლაპარაკებით მოეგვარებინა. შეიძლება პირველმა ამგვარმა ცდამ შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ შემდგომმა ცდებმა — უეჭველად.

მთავარია, აღდგეს დიალოგი, საუბარია არა მთხოვნელის და რამის მიმცემის დიალოგზე, არამედ ორი მხარის დიალოგზე. ახლანდელ ვითარებაში ეს შეუძლებელია, მაგრამ მუდმივად რომ ასე ვერ გაგრძელდება, ესეც ნათელია. ჩვენი პრობლემა ის არის, რომ დრო ჩვენზე არ მუშაობს. რაც უფრო „აითვისებს“ რუსეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს, სამხედრო და განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით, იქაურ მოსახლეობას და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას უფრო და უფრო დაავიწყდებათ ქართველები და საქართველო. ამიტომ პოლიტიკური ცდების გააქტიურების პარალელურად არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვთქვათ უარი აფხაზებსა და ოსებთან კონტაქტებზე, ყველა შესაძლებელ დონეზე. საერთაშორისო მცდელობასთან ერთად, ეს პროცესიც აიძულებს რუსეთს მოლაპარაკების დაწყებას.

**— საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ „2012 წელი ქართული დიპლომატიისთვის ძალიან მძიმე იქნება“. თქვენი აზრით, რა სიძნელეებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული 2012 წელი დიპლომატიური თვალსაზრისით?**

— ნამდვილად ვერ გეტყვით, რა სიძნელეებს გულისხმობს მინისტრი, მაგრამ, ჩემი აზრით, ქართველი დიპლომატებისთვის ძნელი იქნება საქართველოსადმი ნდობის აღდგენაზე და „იმიჯის“ გამოსწორებაზე მუშაობა იმ შემთხვევაში, თუ მათი ცდები არ იქნება გამყარებული საშინაო პოლიტიკაში გადადგმული ნაბიჯებით, ქვეყანაში რეალური დემოკრატიის შექმნის მიმართულებით და ქვეყნის ხელმძღვანელები განაგრძობენ შეურაცხმყოფელ, არადიპლომატიურ განცხადებებს უცხოელი (თუნდაც მტრულად განწყობილი) ლიდერების მისამართით.

**კოზა ბენდელიანი**

განსჯა

# მთავარი მაინც ეკონომიკაა — „განსაცვიფრებლად არის მთავარი“

**ეკონომიკა რომ მთავარია, ყველამ იცის. მისი ცოდნა აუცილებელია საზოგადოების იმ წევრებისათვის, ვისაც ხელისუფლებაში მოსვლა სურს. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ეკონომიკის მნიშვნელობა კარგად იციან სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებმა და ინტელიგენციამ. მხოლოდ ჩვენთან, ჩვენს ქვეყანაში არ უნდათ გაითვალისწინონ ეს ჭეშმარიტება და ხელისუფლებაში მოსასვლელად, ხალხის ფართო მასების მხარდაჭერა რომ მოიპოვონ, იყენებენ „სატყუარა“ საბაბებს, როგორიცაა ლოზუნგი „მიშა წადი“ და ცნობილი რეჟისორის თეატრიდან წასვლასთან დაკავშირებული უკმაყოფილება (წასვლას ხაზს ვუსვამ რადგან დიდმა რეჟისორმა თავის წასვლის სცენარის მნიშვნელოვანი ნაწილი, თუ მთლიანად არა, თვითონ დაწერა).**

როგორც ყველა ვხედავთ, საქართველოში დღეს რაღაც შენდება, რაღაც კეთდება, რაღაც არ შენდება და არ კეთდება. დღევანდელ პირობებში არც არის ადვილი საზოგადოებამ განსაზღვროს, თუ მათ დაეკითხა ვინმე, რა არის უპირველესად ასაშენებელი.



იმ „ავადსახსენებელ“ დროში ყველა მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა იგეგმებოდა ადგილობრივი ხელისუფლების (საბჭოების) მოთხოვნის საფუძველზე და მშენებლობა ფინანსდებოდა ბიუჯეტიდან, დაფინანსების წყაროების ჩვენებით. მშენებლობა და დაფინანსება იყო კანონიერი და ყოველმხრივ გამჭვირვალე.

დღის თითქმის ყველა მშენებლობა ფინანსდება მსოფლიოს, ევროკავშირის და სხვა ბანკების საშუალებით. სესხის ან ინვესტიციის მისაღებად ჩვენმა ხელისუფლებამ გარკვეული მოთხოვნები უნდა შეუსრულოს დამფინანსებლებს. მოითხოვენ, ინვესტიცია არ ჩაიდოს საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში, ან ასეთი ობიექტების გაფართოება-რეკონსტრუქციაში. არც მსოფლიო ბანკი და არც ევროკავშირის ბანკები სესხს არ გასცემდნენ. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეკონსტრუქციისათვის, რადგან კომბინატი საკუთარი პროდუქციის გამოშვებით პრობლემებს შეუქმნიდა ასეთივე პროდუქციის შემოტანა-რეალიზაციას ჩვენს ქვეყანაში.

სესხს გვაძლევენ გზების მშენებლობისათვის (თუნდაც თბილისი-ახალქალაქის გზის მშენებლობა გავიხსენოთ: 220 კმ-ის სიგრძის გზის მოწყობა 220 მლნ დოლარი დაჯდა და ამ გზაზე დღე-ღამეში 3-4 მსუბუქი ავტომობილი თუ გაივლის). სესხს გვაძლევენ სასტუმროების და ტურისტული ობიექტების მშენებლობისათვის. (როგორც ამტკიცებენ თბილისში მოქმედი სასტუმროები მხოლოდ 15-20 პროცენტით არის დატვირთული და... სასტუმროებს კვლავ აშენებენ). აღნიშნული ობიექტები საწარმოო დანიშნულებისა არ არიან და მათ რომ დახარჯული თანხები გამოისყიდონ, ათეული წლებია საჭირო.

იხ. 9 გვ.



# მილორად პავიჩი

# შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა



## სერბული რომანი

და ანაზდეულად თითქოს ჯადოქრობამ იჩინა თავი. მკითხველმა არა მარტო დალაგებულად ლაპარაკი იცოდა, როგორც ჩანს, მოზღვავებულ ემოციებს ვეღარ უძლებდა, და ამ ემოციათაგან რაც შეიძლება მალე თუ არ დაიცლებოდა, ისინი, ემოციები, სულ ლუკმა-ლუკმა დაფლეთდნენ. დაძაბულობა მატულობდა, ვეხვეწებოდით, რომ თხრობა განეგრძო. ზოგიერთ ყმაწვილქალს თვალზე ცრემლიც კი მოადგა, ვინაიდან მკითხველი სიყვარულის ამბავს ჰყვებოდა. მაგრამ უცებ პავლე ბორნემისამ შუა ფრაზა გააწყვეტინა და ზეიმური ტონით განაცხადა:

— უბრალოდ ფილმებს გვიყვება, ნაირნაირს! ეს ამის მოგონებები კი არა, ფილმი „კასაბლანკაა“! ხოლო რაც წეღან გვიამბო, „რუბლიოვი“ იყო, მერე კი ბერგმანის „ფენი და ალექსანდრე“...

— გვარიანად ჩაწოლილი საქონელია იმ ხალხისთვის, ვინც კარგად იკოცნება-მეთქი, — ვთქვი.

ამით ჩვენი საღამო გასრულდა. თუმცა მკითხველი მომავალ შეხვედრაზე მაინც მოვიწვიეთ, გაცილებით კარებამდე მივაცილე და გულში გავიფიქრე: „ვინ იცის, ყოვლის უკეთესი საჭმელი იქნებ სულაც წყალია, ხოლო ყოვლის უკეთესი სასმელი — ჰაერია-მეთქი...“ საუკეთესო მკითხველნი, ჩანს, საუკეთესოებთან წავიდნენ, ჩვენ კი ასეთიც ძლივს შეგვხვდა.

* * *

ერთ შემოდგომის საღამოს, კვლავ სტუმართა მოლოდინში, ლენა ჭკა ჩიტებს გასცქეროდა, დამძიმებულნი და ორსულებსავით მუცლიანები როგორ იყრიდნენ თავს ისინი მდინარის პირას. კარგა რომ ჩამობნელდა, პასიანსი გაშალა და ყური მიუგდო, რას ეუბნებოდა ბანქო, რომელიც მარცხნივ იყურებოდა და წარსულს ხედავდა. ლენამ, ჩვენი არ იყოს, ცუდად იცოდა თავისი გუშინდელი დღე, ანუ დღეის წინა დღე. ამიტომაც გაშალა ბანქო სამკითხაოდ, იმ თავის გუშინს უტრიალებდა. უკვე გვიანი იყო, და ლენას უკვირდა, რომ არავინ არა ვჩანდით. უცებ ვილაცამ დარეკა კარზე ზარი, და მკითხველი გამოჩნდა. ხელთ ლუდის ბოთლი და ქალალდის ჭიქა ეჭირა.

— საკვირველია, რომ, როგორც ყოველთვის, სხვებიც არა ჩანან, დღეს ხომ ხუთშაბათია, — თქვა ლენამ.

— რატომ მოვიდოდნენ, როცა დღეს ოთხშაბათია, — გაუსწორა მკითხველმა. სავარძელში ჩაჯდა, ახლაც ისევ ფისუნიას დააჯდა, და ქალალდის ჭიქაში ლუდი დაისხა. ლენას უკვირდა, რომ მკითხველი ლუდს მარტო სვამდა, ნეტავი მეც რატომ არ მთავაზობსო, ფიქრობდა, და, ბოლოს, ჰკითხა, ოთხშაბათს რატომ მოხვედიო.

— მოთხრობა ბოლომდე ვერ წავიკითხე და ბარემ დღეს გადავწყვიტე მოსვლა. კარგად მახსოვს ის დღე, როცა ამ მოთხრობის კითხვა დავიწყე. მაშინ აქ არცვინ სხვა არ იყო, მარტო შენ იყავი და ეს ოთახი. მახსოვს, აქ სად რა იდგა იმ დროს, როცა მოთხრობას ვკითხულობდი. ისიც მახსოვს, ერთი ფანჯრიდან, რომელსაც შენ არდაბაგს ეძახდი, წითელი წიწაკის სუნი მცემდა, ხოლო მეორიდან გადმოსული რძის სუნი შემოდიოდა. არც კიდევ ის დამვიწყებია, როგორ შემაწყვეტინეს კითხვა, და როგორ ჩავედი სარდაფში. მართალი გითხრა, გატაცებული ვკითხულობდი... კარგი, რაც იყო, იყო.

— მაშინ, მგონი, თვალები შავი გქონდა და არა ყვითელი, — ჩაერთო ლენა.

— შესაძლებელია, — მიუგო მკითხველმა და განაგრძო: — მითხარი ერთი, რა სიზმარი ნახე წუხელის? ვიცი, ძალიან გიყვარს სიზმრების მოყოლა.

— შენ რა იცი, რომ სიზმრების მოყოლა მიყვარს?

— რა ვიცი, და წავიკითხე.

— სად?

— როგორ თუ „სად“? ამ მოთხრობაში.

— ინგერინამ სულ ტყუილი თქვა. საქმე, სამწუხაროდ, ეგრე არ არის. მე საერთოდ მესიზმრია არა ვარ. სიზმრებს ვერ ვნახულობ. არ შემიძლია. ყოველლამ ვილაც ჩემ წინ მიდის და ჩემი სიზმრების კარს აღებს, მაგრამ მე შიგ ვერ შევდივარ. არ ვიცი, როგორ შევიდე, იმიტომ არ ვიცი, რომ აგრე ვარ შექმნილი, არცროდის არც ერთი სიზმარი არ მინახავს. სამწუხაროდ. იმიტომ რომ ღმერთი იყურება არა ჩვენს აზრებში, არამედ ჩვენს სიზმრებში. ის იქ ზის და გველოდება, როდის გამოვჩნდებით, რათა შეგვიყვაროს. მე კი ამ ამბავს მოკლებული ვარ... ალბათ, სწორედ ამად მიყვარს სიზმრების მოყოლა. მაგრამ რაკი ჩემი სიზმრები არა მაქვს, ან გამოგონება მიხდება იმათი, ანდა სულაც სხვებისას ვყვები. შენ კი ჩემი სიზმარი გაგულისყურებს და არა სხვისი, ხომ აგრეა?

— ეგ მართლა ვერ არის კარგი საქმე. მე ხომ არ შემიძლია რამე დახმარება?

— როგორ არ შეგიძლია. ჩემი მეგობრები სულ ერთ ფილმზე ლაპარაკობენ, რომელიც სუყველას ნანახი აქვს ჩემ გარდა. იქნებ ის ფილმი გეამბნა?

— ეგეთი რა ფილმია? — მოუთმენლად იკითხა მკითხველმა.

— „მესამე ადამიანი“. ნანახი გაქვს?

— აბა, როგორ, რასაკვირველია. ორჯერ. ჩემი საყვარელი ფილმია.

— სულ ორჯერ? — გაიკვირვა ლენამ.

— დღეში ორჯერ. კინოტეკაში. პირველად დღის სეანსზე, მერე საღამოსაზე. ვიდექი და მთელი თვე ვუყურებდი. მერე აღარ უჩვენებიათ.

და მკითხველმა ფილმ „მესამე ადამიანის“ მოყოლა დაუწყო ლენას.

სადღაც შუაში ლენამ შეკითხვით შეაწყვეტინა მკითხველს თხრობა. ასე რომ მან ვერ მოასწრო ლენასთვის იმ ნაწილის გაცნობა, სადაც ორსონ უელსი და ჯოზეფ კოტონი ვენის პრატერის შუაში მიმოხილვის უზარმაზარ ბორბალზე ხვდებიან. ლენას შეკითხვა ასეთი იყო:

— ეგ ორსონი რა, ბავშვების წინააღმდეგი იყო?

— პირადად ის კი არა, იმისი გმირი ფილმიდან.

— მაგისთანა რა „ფილმის გმირია“?

— დაახლოებით ისეთი, რაც შენ ამ მოთხრობაში ხარ.

— მართლა? მიამბე ერთი, რა ხდება მანდ, თქვენთან, გარეთ? როგორც ფილმშია, ისეა? თუ როგორც აქ არის, წიგნში?

— როგორ გითხრა... წელიწადის დრონი ჩვენთან ისეთი არ არის, როგორიც აქ, თქვენთან. ახლა თქვენთან, აქ, შემოდგომაა, ჩიტები წვიმაში დაფრინავენ, აბლაბუდა სველია, ჩვენთან კი, იქ, გაზაფხულია.

მკითხველი ისე გამჭოლად უყურებდა ლენას, თითქოს წყლის გამჭოლ იყურებაო.

— ეგ არ მიგულისხმია. რას შვრებით, როგორ ცხოვრობთ იქ? — დაუზუსტა ლენამ.

— ცხოვრება მტკივნეული რამ არის. სუყოველი ჩემი მოძრაობა შეცდომაა, სუყოველი ჩემი სიტყვაც. და თითოეული ეს შეცდომა ძვირად მიჯდება... ჩვენთან მომავალი ჰგავს ერთგვარ უკიდეგანო უძილობას, ხოლო ადამიანი ლოკოკინას, რომელსაც თავისი ლორწოვანი წარსული თანა სდევს, როგორც რომ გამჭვირვალე რამ კვალი, მომავალი კი მხრებზე აქვს მოგდებული პატარა რამ სახლსავით, რომელ სახლსაც ყოველ საღამოს მოკუნტული აფარებს თავს ღამის გასათევად...

— უყურეთ ერთი... მაგრამ მე მაგას სულაც არ გეკითხები. მართალია, რომ ახლა იქ, თქვენთან, ომია, ბომბები ცვივა და აღარც ტელეკოშკია ავალზე და აღარც ხიდებია ნოვი-სადში?

— კი. ეგ მართალია.

— ხომ შეიძლება რომ ხალხიც დაიღუპოს?

— რასაკვირველია.

— შენც?

— მე რაღა წითელი კოჭი ვარ. დაღუპვა ყველასი შეიძლება.

— ნუღარ წახვალ იქ, ჩემთან დარჩი ღამის გასათევად. აქ, ჩემს მოთხრობაში, არც არაფერი არ დაგიშავდება.

მკითხველმა გაიცინა. ლენამ ხელი ხელზე მოუჭირა... და მყის იგრძნო, რომ თავისი ხელის შეხებისგან მკითხველის ხელმა უეცრად ზრდა იწყო. იზრდებოდა და იზრდებოდა, აღარ ჩერდებოდა, მერე ლენამ ახლა ისიც იგრძნო, რომ ხელისგულზე, რომელი ხელისგულითაც ის მკითხველის ხელს შეეხო, ულვაში წამოეზარდა. მკითხველმა სურვილით ბაგე მიაპყრო, აკოცა ლენას და, როს იმის სხეულში შეიჭრა, ლენამ იგრძნო, რომ ღრმად, შიგნიშიგან, მკითხველის ვეებერთელა გული უფეთქავდა.

მერმე ორსავე ჩაეძინა. ძილში მკითხველი სულ უფრო ეკვროდა, ეხუტებოდა ლენას. ბოლოს და ბოლოს ლენა საწოლის კიდეზე აღმოჩნდა, და რომ არ გადმოვარდნილიყო, ადგა, საწოლს შემოუარა და მკითხველს ზურგს უკან მიუწვა.

როცა ლენას გამოეღვიძა, მკითხველი უკვე იქ აღარ იყო. ის უახლოეს ხუთშაბათსაც არ გამოჩენილა. საერთოდ ალიკვალად დაიკარგა.

— ის შენი საყვარელი მკითხველი რატომ აღარ მოდის? — ჰკითხა იდამ ლენას ერთ-ერთ საღამოს.

— რაღატომ უნდა მოვიდეს? — ჩავერთე მე, ინგერინა, როგორც თავშივე გაგეცანით. ჩართვით კი იმიტომ ჩავერთე, რაკი სუყველას სახეზე ვატყობ, ვის ვისთან უკოცნავია. — ისე, ის ჩვენი მკითხველი ჩინებულად იკოცნება-მეთქი, — თან დავძინე. — ლენამ კი კოცნა არ იცის, რომც მოვიდეს, იმ მკითხველმა, აბა, რა უნდა ქნას? მოდი ახლა ვინმე მკითხველ ქალს დავუძახოთ და პავლე ბორნემისა შევაჩეჩოთ. პავლე იმას უეჭველად მოეწონება და ლენას კავალერივით კუდს არ ამოიძუებს...

— იქნებ ის შენი მკითხველი სულაც დაიღუპა სადმე და იმიტომაც არა ჩანს, — ფიქრიანად თქვა პავლე ბორნემისამ, და ლენა ამ აზრმა აშკარად შეაკრთო. საღამოობით ის ხანისად იგონებდა ხოლმე მაშინდელ ბოლომდე მოუყოლელ ფილმს და იმ კოცნის გემოს, მკითხველმა რომ დაუტოვა. იგონებდა ხოლმე მკითხველის გამოხედვას, რომელი გამოხედვაც კარგა ხანს მოუნდა ლენამდე მიღწევას და თან გზადაგზა ფერს იცვლიდა: ხან ყვითელი იყო, ხან ცისფერი, ხანაც მწვანე, ლუში-მწვანე, მკრთალი თეთრი, მარწყვისფერი, შავი და ეგრევე ლენაზე ჩერდებოდა. და მკითხველი მაშინ გრძნეულ სპეკალს რასმე ჰგავდა, რომელიც ოდენ ლენასთვის კრთოდა... ხანისად ლენა თავისდა უნებურად ჩურჩულებდა: „ვახშმობის ჟამი როს დგება, ჩემზე იფიქრე, კეთილო კაცო. მეტი რამ საჭმელი არცრა მინდა. დილით კი, საუზმეზედ, მარტო გამიღიმე...“

* * *

ზამთარი დაბერდა, დაბერძულდა, ლენა ფეხმძიმობის უკვე მეშვიდე თვეში იდგა და გრძნობდა, როგორ უფეთქავდა გულქვეშ პატარა ახალი არსება. ასეთი ბედნიერი ის არცროდის არა ყოფილა, და ეჩვენებოდა, რომ კომპასის ისარს დაემსგავსა, რომელი ისარიც გზის სწორ მიმართულებას უჩვენებდა. და ზედდატანებით რაღაც გაუგონარი რამ დაემართა. თავის სიცოცხლეში პირველად იძილისშორისა. ღამე ესიზმრა. და ღამეში უთვალავგანათებულგავალაკიანი ბორბალი მოიხილა, რომელიც კარუსელივით ტრიალებდა... სრული წყვდიადი იდგა, გამიგე! რომ გამოეღვიძა, მეცხრე ცაზე იყო ასული სიხარულით. „ბედნიერება ერთადერთი უფასო რამ არის ამქვეყნად“, — გაიფიქრა ლენამ. ამ დროს გვამში გაელვიძა და გაენძრა ჩვილიც, ამ სასწაულებრივმა, ოდნავ საგრძნობმა მოძრაობამ ლენა ისარივით გაწონა იმ აზრით, რომ თვითონ კი არ იძილისშორისა, რამეთუ სიზმრის ნახვა არ შეეძლო, არამედ იმისმა პირმშომ იძილისშორისა ბორბალი.

ვინაიდან მკითხველს ბოლომდე არ მოუყოლია ფილმის შინაარსი, ლენას, რასაკვირველია, ვერ ეცოდინებოდა, რომ შვილს, რომელსაც მასში ეძინა, ესიზმრა ფილმ „მესამე ადამიანის“ ერთ-ერთი ბოლო სცენა. ბოლომდე ართქმული და მოუყოლელი, სწორედ ის სცენა, რომელიც მკითხველმა თან წარიტანა, ხოლო ლენაში კი თავისი თესლი, ანუ ნაყოფის მშობელი ჩატოვა...

### ჩაი ორისთვის

თუ მოქმედების ადგილი ბელგრადია, სუყოველი მოვლენა რესტორან „კითხვის ნიშნის“ აივანზე ვითარდება, პეტრე მეფის ქუჩა, 6. ხოლო თუ ამბავი სხვა ადგილას ხდება, ისე ხდება, როგორც მოთხრობაშია მითითებული.

**სიხარბე მეექვსეა მომაკვდინებელ ცოდვათა ნუსხაში. დანტე ვერცხლისმოყვარეთ ქურდებთან ერთად ათავსებს „ჯოჯოხეთის“ მერვე სკნელში. ჰიერონიმუს ბოსხი იმათ კაჭკაჭებად და თევზებად წარმოსახვას, ხოლო შაგალის სურათზე, შვიდთითა ასტროლოგიურ ხელისგულზე, იმათ შეესაბამება ერთი ნეკთაგანი, მარჯვნიდან მარცხნივ მოყოლებული. იმათი ცთომილია იუპიტერი, ანუ მუშთარი**

ძვირფასო მკითხველო, ავტორი გირჩევთ, რომ ამ მოთხრობას წასაკითხავად ხელში ნუ აიღებთ ოთხშაბათს და ნურაფრის გულისთვის ნუ იზამთ ამას, ვიდრე მაისი არ დადგება. ყოვლის უფრო უკეთესად კი მოთხრობა საღამოთი ლოგინში იკითხება. თავად მიხვდებით, რატომაც. და ბარემ გეტყვით, მოთხრობაში გმირები არ არიან. გმირები მარტო თქვენა ხართ, მკითხველნი.

როს ყოველსავე ამას ვწერ, ვიცი, რომ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 146, 151, 155, 159

ჩემი მარცხენა თვალი ქაღალდს მამაჩემის თვალივით დასცქერის, ხოლო მარჯვენა – დედაჩემის თვალივით. ეგების სწორედ ამიტომაც არის, რომ მოთხრობა კი არა, რაღაც უფრო სიყვარულის რამ წამალი გამოდის და ჩემი ნაწერი ამ ელექსირის გამოსაყენებლად ერთგვარი სახელმძღვანელო ხდება.

ვიცი, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ სხვაობა სიყვარულსა და სიყვარულს შორის ეგების ბევრად უფრო დიდიც არის, ვიდრე სხვაობა სიყვარულსა და სიძულვილს შორის. და იქნებ ამიტომაც არის, რომ სუყოველი დიდი სიყვარული სამი პატარა ნაცილით, ანუ ტყუილით იწყება. დიახაც ეს სამი პატარა ნაცილი თუ ტყუილი უნდა ჩავაქციოთ მოთხრობაში, რათა სიყვარულის ბანგის შესადედებელი დვრიტა მოვივარგოთ.

ძვირფასო მკითხველნო, ვინც არ უნდა იყვნეთ, გინდ მამაკაცნი და გინდ დედაკაცნი, და რაც არ უნდა გერქვათ, პირველ ნაცილად თუ ტყუილად იქცევა თქვენი საიდუმლო, ანუ ცრუ, სახელი. ამრიგად, ამიერიდან მოთხრობის ქალი მკითხველის სახელი იქნება ასენეთა, აგრე ერქვა იოსებ მშვენიერის ცოლს, ხოლო მამაკაცი მკითხველის სახელი არისტინე იქნება, აგრე ერქვა XII საუკუნის ერთ-ერთ მწერალს.

ოღონდ, ძვირფასო ასენეთა და ძვირფასო არისტინე, შემოთავაზებული სიყვარულის წამლის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგეძლებათ, უკეთუ ერთგვარ ინიციაციას გაივლით, სხვაგვარად თუ ვიტყვით, ჩვენი მოთხრობის გმირებად გახდომას მოახერხებთ. ეს კი სულაც ადვილი საქმე არ არის არც ერთი თქვენგანისთვის. თვინიერ ამისა, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ გარკვეულწილად თავს ხიფათში იგდებთ, ვინაიდან მკითხველის გადაქცევა წიგნის გმირად მწერალს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ სულ ორიოდე სტრიქონითაც კი ავნოს რამე ამ მკითხველს ანდა მოვლას კიდეც. მაგრამ ჩვენი მიზანია არა სიკვდილი, არამედ სიყვარული, და ლაპარაკია არა სამსალაზე, არამედ სიყვარულის წამალზე. ამიტომ მხნედ იარეთ წინ და ისმინეთ პირველი მითითებანი. თავდაპირველად არცრა რთულად არ მოგეჩვენებათ – საჭიროა, რომ უახლოეს მომავალში სამჯერ იცრუოთ, ხოლო არცთუ შორეულ წარსულში რალაც ისეთი რამ შეგემთხვათ, რაც ის წინა პირობა იქნება, ურომლისოდაც სიყვარულის წამლის მოპოვება არ გამოვა.

ამის მერე მოიხილეთ მითითებანი – ჯერეთ, ასენეთასთვის, ხოლო შემდეგ განსაკუთრებით არისტინესთვის, ეს მითითებანი კი იმისდა მიხედვით განსხვავდებიან, რომელი ვის ეკუთვნის.

## მითითებანი ასენეთასთვის

1

**ძვირფასო ასენეთა!**

თქვენი შავი თვალები ნეტამც სულ აგრე აფრქვევდნენ სურნელოვან, ყნოსიერ გამოხედვებს, შესაძლოა, სულაც ძვირფასი ლანდებით თესავთ მიწას ანდა, ერთი მწერალი ქალისა არ იყოს, იქნებ ოდეკოლონსაც ფსამთ, მაგრამ ჩვენი წიგნის გმირი მაინც ვერ გახდებით. ამ გმირად გახდომა მხოლოდ იმ მკითხველ ქალს ძალუძს, ვინც გასაღები ცოტა იმაზე ადრე დაკარგა, ვიდრე ერთხელ ამ მოთხრობის წასაკითხავად წამოწვებოდა. სულერთია, რა გასაღები. კოსმეტიკური ზარდახშის გასაღები, თავისი მანქანის გასაღები თუ სხვისი ბინის გასაღები – მნიშვნელობა არა აქვს. უკეთუ ეს ამბავი თქვენ შეგემთხვათ, სწორ გზაზე დგახართ, და მხოლოდ თქვენ ჩაითვლებით ამ მოთხრობის გმირად. და მხოლოდ თქვენ გეკუთვნით ცრუ სახელი ასენეთა. თქვენ – და არცვის სხვას. დანარჩენთ, ქალ მკითხველთ ვგულისხმობ, შეუძლიათ, რომ ხელშიც არ აიღონ ეს წიგნი, რამეთუ იმათ უკვე არცრა ესაქმებათ, არცრა ხელი აქვთ ამ წიგნთან.

2

ამის შემდგომ რაც უნდა ქნათ, ძვირფასო ასენეთა, ის არის, რომ ერთი რამ სიზმარი უნდა ნახოთ. ოდესლაც ცარეგრადელი ბერ-მონაზვნები თავიანთ თანამოძმეთა და სხვა ადამიანთა სნეულ სიზმართ იმით მკურნალობდნენ თუ სწამლობდნენ, რომ ერთ-ერთ რომელსამე ღამეს ყველანი ერთად ნახულობდნენ წინასწარ შედგენილ ერთსა და იმავე სიზმარს რასმე. რაღაც ამისდამაგვარი რამ დაგვჭირდება ახლაც. ოღონდ ამჯერად მდედრული სიზმრის ნახვა მოგიწევთ, და იმ სიზმარს გამოვიყენებთ, ერთხელ ჩემმა ნახევარდამ რომ იძილისშორისა. ამრიგად, მკითხველმა ქალმა, რომელიც ამ მოთხრობის კითხვას იმის შემდეგ შეუდგა, რაც სადღაც გასაღები დაკარგა და საიდუმლო სახელის ასენეთას დარქმევის უფლება მოიპოვა, შემდეგი რამ უნდა იძილისშორისოს:

## მდედრული სიზმარი

მესიზმრება, რომ ღამეა და უკაცრიელ ქუჩას მივუყვები. გვიანია, ბნელა, ტანში შიშის ქარი მივლის, და უცებ ჩემს ზურგს უკან ნაბიჯების ხმა მესმის. ვიღაც სულ უფრო აჩქარებს მძიმე ნაბიჯთ. სახლამდე ჯერ კიდევ შორია, ვცდილობ, რომ ჩქარა ვიარო, ვიარო კი არა, თავზარდაცემული მივრბივარ. მძიმე ნაბიჯთ სიხშირე ემატება, უცნობიც ჩემ უკან მორბის. არ უნდა, რომ ჩამომრჩეს. რომელიღაც მოსახვევში შევძელი და თვალი შევასწარი. ჩემზე ბევრად მაღალი მამაკაცი მდუმარედ მომდევს. სულ უფრო და უფრო აჩქარებს ნაბიჯს. მალე აღარცერთი ქუჩა აღარა ჩანს, მაგრამ გარშემო სულ სახლებია, და ორივენი ეზო-ეზო მივრბივართ, სადღაც ძველ კიბეს ავუყევით და არ ვიცი, სადმე გალერეაში აღმოვჩნდით, არ ვიცი, უპატრონოდ მიტოვებული ბინის წინკარში. და უცებ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე სიზმარში, ორივე ფეხი წამერთვა. გაქცევა მინდა, მაგრამ ისევ იმ ადგილას ვარ, ჩემ წინ კი, სიბნელეში, დაღებულ ხახასავით მოჩანს რომელიღაც სახლის თაღი. ტანში შიშის ჟრუანტელი მივლის, ვშეშდები. უცნობი ლამის ზედ მომადგა, თავისი დიდი შავი ლანდი წამომახურა და გაჩერდა, მერმე იქვე კუთხეში კედლისკენ ქნა პირი და დიდხანს, ძალიან დიდხანს ფსა...

3

დილით, როგორც კი გაგეღვიძათ, ძვირფასო ასენეთა, რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდით, რომ ისე არ გამოგივიდათ, როგორც უნდა გამოგსვლოდათ. სიზმრად ის კი არა ნახეთ, რის ნახვაც გევალებოდათ, არამედ სულ სხვა რამ იძილისშორისეთ, ღმერთმა უწყის, რა. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ. საშიში არაფერია. სიზმრის ნახვა სულაც იმიტომ არ დაგვალებიათ, რათა გენახათ (დღეს ასეთ რასმე ვერავინც ვერ მოახერხებდა), მთავარი ის იყო, რომ კარგა დაგეხსომებინათ. არის კიდევ ერთი მიზეზი, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ახლა ადექით და ერთი რომელიმე თქვენი საყურე იპოვეთ. მხოლოდ ერთი დაგჭირდებათ, ცალი. და ჩანთაში ჩაიდეთ.

4

უახლოეს ოთხშაბათს თქვენს ქალაქში იმ რესტორნის აივანზე მიხვალთ, რომელიც ყველაზე ახლოს არის ტაძართან (აქ, ბელგრადში, ეს პეტრე მეფის ქუჩაა, 6, რესტორანი „კითხვის ნიშანია"). დაახლოებით შუადღისას მზისგულზე უნდა დაჯდეთ და ჩაი შეუკვეთოთ. სანამ ჩაის სმაში იქნებით, ამოიღეთ და მაგიდაზე დადეთ ის თქვენი ცალი საყურე. ამის შემდეგ არც არაფერს არ იზამთ, მარტო დაელოდებით. დაელოდებით იმ ახალგაზრდა კაცს, რომელიც მაგიდაზე თქვენ წინ დაუჭდეველ გასაღებს დადებს. მაგრამ ლოდინი, დამეთანხმებით, ძნელი საქმეა. და კარგი სკოლაც არის. ოღონდ მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ ამ ადგილას მოთხრობამ ვაითუ კლასიკური სამიჯნურო სახე დაკარგოს. იმიტომ რომ ერთმა მარტოდენ ღმერთმა უწყის, ვინ აღმოჩნდება ოთშაბათს შემთხვევით რესტორნის აივანზე, რათა ჩაის სმის დროს მაინცდამაინც იმას შეხვდეს, ვისაც ცხოვრებაში ისაკლისებს... ანდა იქნებ არც ამ და არც მომდევნო ოთხშაბათს არცვინ გასაღებიანი არ მოვიდეს. ანდა ვაითუ, ერთი კი არა, სულ ცოტა ათი ქალიშვილი მაინც იჯდეს მაგიდასთან, რომელზედაც საყურე ედებათ, და ათივე ერთადერთ ჭაბუკს ვისმე ელოდებოდეს, დაუჭდეველ გასაღებიანს.

ასე რომ მოთხრობა იქნებ სიყვარულის წამლების მაღაზიადაც გადაიქცეს, მაგრამ ასეთი სამკურნალო რამ სასმელი, როგორც რომ სუყოველი გრძნეული წამალი, უხიფათო როდია.

* * *

ამ ადგილას უცებ წერა შევწყვიტე, რადგან გონებაში კრისტალური სიცხადით გამიჩნდა კითხვა საკუთარი თავის მიმართ: „რატომ ატყუებ ამ პატიოსან ყმაწვილქალს? რატომ ატყუებ ასენეთას, როცა ძალიან კარგად იცი, რომ წინასწარ არცვისთვის ცნობილი არ არის, მოხდება თუ არა რამე უახლოეს ოთხშაბათს ზემოხსენებულ რესტორანში, ხოლო თუ მოხდება, ღმერთმა უწყის, სახელდობრ რა". დიდხანს არ მიფიქრია, მყისვე გავეცი ჩემს თავს პასუხი: „რატომ და იმიტომ ვატყუებ, რაკი სუყოველი დიდი სიყვარული სამი პაწაწა ტყუილ-ნაცილით იწყება-მეთქი..."

## მითითებანი არისტინესთვის

1

ძვირფასო არისტინე,

ეგება ისეთი ხელები და ისეთი ხმა გაქვთ, რომ დიაცთ ყურების კანკალი ეწყებათ; ეგება ულვაშები ღიმილს გიმკობენ, ხოლო ღიმილი ულვაშთ გიმკობთ, მაგრამ ვერცრა ეს ჩვენი მოთხრობის გმირად გახდომაში ვერ დაგეხმარებათ. მკითხველი სულ იოლად მიხვდება, რომ ჭეშმარიტ გმირს თავად წარმოადგენს. სწორედ იგია ის ერთადერთი მამაკაცი, რომელსაც ყველაფერი გამოუვა, უკეთუ საღამო ხანს, ამ მოთხრობის წასაკითხავად წამოწოლილი, გაიხსენებს, რომ ახლახან სადმე ბალახბულახში თუ ქუჩაში მავანისგან დაკარგული საყურე იპოვა. ჩვეულებრივი ქალის საყურე, არა მაინცადამაინც ძვირფასი. ეს იმას ნიშნავს, რომ დასტურ იგია რჩეული. და სწორედ ის არის უფლებამოსილი, რომ ერქვას ამ წიგნის გმირის საიდუმლო სახელი – არისტინე. დანარჩენთ შეუძლიათ, რომ თავი აღარ შეიწუხონ და აღარცრა არ ეცადონ, რამეთუ ამ მოთხრობაში აღწერილ ამბავთან არცრა იმათ არ ესაქმებათ.




2

უკეთუ ასენეთასთვის ჩამოწერილ მითითებებში პუნქტი ნომერი ორი წაიკითხეთ, იმისი შინაარსი თქვენადაც მიიჩნიეთ. იმავე მიზნით მოგიწევთ ერთი რამ სიზმრის ნახვა, ოღონდ ახლა ის მამრული სიზმარი იქნება, და უკეთუ ის ერთხელ მე უკვე ვიძილისშორისე, ალბათ, არც თქვენ უნდა გაგიჭირდეთ იმ სიზმრის ნახვა, არისტინე...

## მამრული სიზმარი

*მესიზმრება, რომ რაღაც საწოლში ვწევარ, ჩემს თავზე ლამფაა აკრული, ფიცრის ჭერია, რომელზედაც მიმაგრებულია ოთხკუთხა მაგიდა, სასადილოდ გაშლილი. ისე ჩანს, თითქოს ის უკულმა გადაბრუნებულ ფიცრის იატაკზეა მილურსმული. ზედ აწყვია და ძირს არა ცვივა გადაბრუნებული საჭმლიანი თეფში, ჩანგალი, კოვზი და დანა, პურიანი ლანგარი და შავქლიავის არყის ჭიქა, თეფშზე ლოქო დევს, ალბათ, ისეთი, როგორსაც წმინდა ნიკოლოზის დღისთვის ამზადებენ – წყალზე დაბრაწული. ჭერი დაბალია, და მაგიდა ჩემგან სწორედ ისეთ მანძილზე ჰკიდია, რომ ლოგინში მწოლიარეს არყის დალევაც შემიძლია და სადილობაც, რაც რამ მაგიდაზეა, ყველაფერს ჩემს გემოზე ვიყენებ. ისე ნებივრად ვარ, ნამდვილ სიამოვნებას, სიმშვიდესა და ბედნიერებას ვგრძნობ, რაც ცხადში დედამიწაზე არ განმიცდია. ყოველივე ბუნებრივად ხდება, ყოველივე შეესაბამება ტან-სხეულს, მავან ასტრალურ ტან-სხეულს, რომელიც ასტრალური ჭიპის წიაღ დაკავშირებულია ჩემს მიწიერ ტან-სხეულთან... აქ კი, დედამიწაზე, ტყე-ტყე მივდივარ, და სუყოველი ფოთოლი რალაცას მტკენს. ადამიანი ნამდვილად მარადიული მგზავრია. მეტადრე სიზმარში. ლოკოკინასი არ იყოს, თავის უკან ადამიანიც წარსულის გამჭვირვალე კვალსა ტოვებს, ხოლო მომავალს, როგორც სახლს, მხრებზე მოკიდებულს მიათრევს. ყოველ საღამოს კი შიგ შედის, რათა თავი მიდოს და ღამე გაათენოს. წეტავი საით უდევს გზა?*

3

ალბათ, ვერც აღწერილი სიზმრის ნახვა მოახერხეთ, ძვირფასო არისტინე, და ვერც კიდევ იმ ლოქოს გაუსინჯე გემო, წყალზე შებრაწულს. მაგრამ იმედს ნუ გადაიწურავთ. თქვენ უკვე იცნობთ ასენეთასთვის ჩამოწერილ მითითებებს და იცით, რომ სიზმარი იმიტომ კი არ შემომითავაზებია, რათა გენახათ, ანუ გეძილისშორისათ. ამიტომ განაგრძეთ წინსვლა, ესე იგი შედით სახელოსნოში და იყიდეთ დაუჭდეველი გასაღები.

4

უახლოეს ოთხშაბათს იმ რესტორნის აივანზე თუ წინგარდზე მიდით, ჩვენს ქალაქში ყველაზე ახლოს რომ არის ტაძართან (აქ, ბელგრადში, ეს პეტრე მეფის ქუჩაა, 6, რესტორანს კი „კითხვის ნიშანი" ჰქვია). იქ შუადღისას უნდა მიხვიდეთ და თავს წაადგეთ მავან მდედრს, რომელიც ჩაის მიირთმევს, ხოლო მაგიდაზე თავის წინ ცალი საყურე უდევს. მიუახლოვდით, დადეთ მაგიდაზე გასაღები და ჰკითხეთ, თუ შეიძლება რომ თქვენ გვერდით დავჯდე-თქო. ეგრევე უარი თუ გტკიცათ, წარუდექით და უთხარით, რომ არისტინე გქვიათ. უკეთუ ის ასენეთაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ, დაბრძანდითო, გეტყვით, თქვენც დაჯდებით და მოუყვებით, რაც წინღამეს იძილისშორისეთ. ესე იგი ლაპარაკია იმ სიზმარზე, რომლის ნახვაც გევალებოდათ, მაგრამ რომელიც სინამდვილეში ვერა ნახეთ. უამბეთ, ვითომ მართლა გესიზმრათ, თუმცა სულაც არ გსიზმრებიათ. უკეთუ იმანაც გიამბოთ თავისი სიზმარი, რომლის ნახვაც ევალებოდა, და რომლის შესახებაც ამ მოთხრობიდან შეიტყვეთ, თქვენი მიზანი მიღწეულია, ყველა წინა პირობა დაცულია. ყველა წინა პირობა, ანუ რაც უკვე გითხარით: სუყოველი დიდი სიყვარული სამი პატარა ტყუილ-ნაცილით იწყება. ორსავე ნაწილობრივ უკვე შესრულებული გექნებათ ეს წინა პირობა, რაკიღა არნახულ სიზმართ მოჰყვებით და გაცნობითაც ცრუ სახელებით გაეცნობით ერთმანეთს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორ გზაზე იქნებით შემდგარნი და აღარცრა შეგიშლით ხელს, რათა სიყვარულის წამალიც შესვათ და დიდ სიყვარულზე დაწერილი მოთხრობის გმირებიც გახდეთ. უკეთუ, ძვირფასო არისტინე, ასენეთამ არა გკითხათ: „რატომ მაინცდამაინც გასაღები და რატომ მაინცდამაინც საყურეო?" – ადექით და უთხარით: „არც გასაღები და არც საყურე თავისთავად არაფერსაც არ ნიშნავს-თქო. მნიშვნელოვანი ის არის, რომ მამაკაცები ჩვეულებრივ ზედმეტად ყურადღებიანები არ არიან, ამიტომ ყურადღების ღირსი ის მამაკაცია, ვინც სადმე ბალახბულახში ანდა სულაც ტროტუარზე ვიღაცის მიერ დაკარგული საყურე შეემჩნია-თქო. ყმაწვილქალნი კი ჩვეულებრივ გულმავიწყობას არ უჩივიან, ამიტომ ყურადღების ღირსი ის ყმაწვილქალია, ვისაც გასაღების დაკარგვა შეუძლია-თქო. ასეთ ორ ადამიანს კი სულ ადვილად ძალუძს, რომ შეხმატკბილებული წყვილი გახდეს-თქო".

ქართულად გადმოაენა

**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება მომავალ შაბათს)

ეროვნული

## კომპეტენტური აზრი



**ჩვენი გაზეთის შეკითხვებს უპასუხებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი მუშაკი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი არტიომ კობზევი. მას ამ ცოტა ხნის წინათ მიენიჭა რუსეთის ფედერაციის პრემია სამამულო და მსოფლიო ჩინეთმცოდნეობის განვითარებაში გამოჩენილი მიღწევებისათვის და ფუნდამენტური ენციკლოპედიის — „ჩინეთის სულიერი კულტურა" — მომზადებისთვის.**

**— ბატონო არტიომ, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური მიღწევები უბრალოდ გაოცებს. რა დგას მათ უკან? თუ აქვს ამ ქვეყანას პოტენციალი იმისთვის, რომ გახდეს ნამდვილი ზესახელმწიფო, ფლაგმანი არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის, არამედ კულტურის, სულიერების სფეროშიც.**

— უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური წარმატებები, მსოფლიო რომ გააოცეს და ზოგ-ზოგები უკვე შეაშინეს კიდეც, ჯერ დენ სიოპინის რეფორმებით, რომლებიც მოწმობენ, უწინარეს ყოვლისა, ბანალური პრინციპის — საუკეთესო შედეგები მიიღწევა ზევიდან გონივრული დაგეგმვის ქვევიდან სტიქიური ინიციატივის სწორ შეხამებასთან — სამართლიანობის შესახებ. ჩინეთის ტრადიციულ ტერმინოლოგიაში ამას იანისა და ინის ჰარმონიული კავშირი ეწოდება.

მეორე, უფრო ნაკლებად ბანალური დასკვნა: ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში მცდელობის შემდეგ ჩინელმა რეფორმატორებმა შეძლეს ეფექტიანად განეხორციელებინათ დიდი ჩინელი წარმატებული მოხელისა და იმპერიის დასასრულის მეცნიერის ჯან ჯი-დუნის (1838-1909) ფორმულა: „ჩინური მოძღვრება — ფუნდამენტური საფუძვლისთვის, დასავლური — გამოყენებითი სარგებლობისთვის". ამ გზაზე მათ გაუსწრეს ნიჭიერმა მოწაფეებმა — ჩინელებმა. სახელგანთქმული კონცეფციის — „ცივილიზაციათა შეჯახება" — ავტორმა ს.ჰანტინგტონმა სამართლიანად შენიშნა, რომ ამგვარი რეფორმების დროს მოდერნიზაცია თანდათანობით იწყებს ვესტერნიზაციის დათრგუნვას და სულ უფრო ძლიერდება მისწრაფება ეროვნულ ღირებულებათა აღდგენისკენ.

მესამე, სულაც არა ბანალური დასკვნა: არანაირი ეკონომიკური ზრდა ასეთ უზარმაზარ, სხვადასხვაგვარ და რთულ ქვეყანაში, რომელიც შეპირისპირებულია მთელ კონტინენტთან და დამძიმებულია უამრავი პრობლემებით, რაც საუკუნენახევრის განმავლობაში გაუთავებელი და გამანადგურებელი კატასტროფების შედეგად დაგროვდა, შეუძლებელი იქნებოდა იმ განსაკუთრებული ძალების მოქმედების გარეშე, რომლებიც დიდად სცილდებოდა ეკონომიკის საზღვრებს. საკითხი შეეხება ჩინეთის კოლოსალურ კულტურულ-ისტორიულ პოტენციალს, რისი ანალოგიც არ გააჩნია არც ერთ ქვეყანას თანამედროვე მსოფლიოში. დაგროვების ხანგრძლივობით და ფორმების ნაირფეროვნებით ამ უპრეცედენტო სულიერ გამოცდილებას შეუძლია იქცეს საწარმოო ძალად და სოციალურ მატერიად.

გასაოცარია, მაგალითად, რომ ჩინელთა ყველაზე ცნობილი თავისებურება — მათი იშვიათი სიმრავლე — მიღწეული იქნა უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში ისეთ პირობებში, რომლებსაც, თითქოსდა, უკუშედეგებამდე უნდა მიევეყვანეთ. 1644-დან 1911 წლამდე ქვეყანას უცხოელები — მანჯურიელები — მართავდნენ. XIX-XX საუკუნეებში მას თრგუნავდნენ და ძარცვავდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები და 1970-იან წლებამდე იმყოფებოდა საშინაო თუ საგარეო ომებსა და გამანადგურებელ სოციალურ კონფლიქტებში. მაგრამ ახლა, ჩვენს თვალწინ სწორედ შემოქმედებითი ჩინური იდეა, რომელმაც მასები მოიცვა, არის უმძლავრესი მატერიალური ძალა. ჩინური ფენიქსის „კულტურული რევოლუციის" ფერფლიდან ამ სასწაულებრივი აღორძინების უკან მისი ათასწლიანი ისტორია დგას.

ჩინური ცივილიზაცია — ყველაზე ძველია დედამიწაზე, და თუ არ განიცდიდა აგრესიას გარედან და არეულობას ქვეყნის შიგნით, ეკონომიკურად ყოველთვის პირველ ადგილზე იყო, იყო ყველაზე მდიდარი და ძლიერი, XV საუკუნემდე კი — ყველაზე მოწინავეც მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში. გამოჩენილი სინოლოგის (ჩინეთმცოდნეობის) ჯ.ნიდემის დაანგარიშებით, მან წარმოშვა 32 მსოფლიო ისტორიული აღმოჩენა, შუასაუკუნეების დასავლეთისგან კი მიიღო მხოლოდ 4 ასეთი აღმოჩენა. ს.ჰანტინგტონის მონაცემებით, ჩინეთიც დაახლოებით 1800 წელს აწარმოებდა გადამამუშავებელი მრეწველობის მთელი მსოფლიო პროდუქციის მესამედს, უფრო მეტს, ვიდრე სხვა ნებისმიერი ცივილიზაცია.

ამიტომ მას, რასაკვირველია, აქვს შანსი კვლავ იქცეს არა მხოლოდ მთელი მსოფლიოს ფაბრიკად, არამედ მის სულიერ ცენტრადაც, როგორც ეს იყო კიდეც ხშირად კაცობრიობის ისტორიაში. სინამდვილეში დედამიწის უკვე ბევრმა ფუნდამენტურმა ღირებულებამ შეუმჩნევლად შეაღწია დასავლურ მიმოქცევაში. მასობრივი კულტურის გული — ჰოლივუდი — აწარმოებს ბლოკბასტერებს ჩინური თეატრალურ-საცირკო წარმოდგენების მრუდთარგებით, კინოგმირი — სუპერადამიანები გამოდიან, როგორც საბრძოლო ხელოვნებათა ოსტატები — უშუ და ფაუსტის სულის ციტადელი — ფსიქოლოგიური თეატრი — უკან იხევენ სინთეტიკური შოუს შემოტევით პეკინური ოპერის სტილში. ჩინეთის წიგნთა წიგნი „ცვალებადობათა კანონი" — ყველა კომპიუტერული პროგრამის ორმაგი კოდის წინამორბედია, იეროგლიფიკა კი — პრეტენდენტია ინტერნეტში საერთაშორისო ურთიერთობის როლზე. დღეს სურათები ჯაბნიან სიტყვას. ჩვენ ვიზუალურ სამყაროში ვცხოვრობთ და, იეროგლიფურ გამოსახულებათა ძველი კულტურა მასში მეორე ახალგაზრდობას იძენს. ამიტომ სინოლოგია ხდება უნივერსალური მეცნიერება კაცობრიობის წარსულსა და მომავალზე, ცივილიზაციის დიალოგზე და რუსეთის ბედზეც.

მაგრამ ასე აშკარა და ნათელი მაგალითების უკან იმალება უფრო ღრმა და კაპიტალური ცვლილებანი. თანამედროვე პოსტქრისტიანულმა დასავლეთმა, რომელმაც უარი თქვა პლატონიკებისა და ეკლესიათა მამების ასკეტურ იდეალიზმზე, ორიენტაცია საიმქვეყნიო ღირებულებებიდან საამქვეყნურზე აიღო, ავტომატურად დადგა ჩინეთიზაციის გზაზე, ვინაიდან ჩინური მსოფლმხედველობის არსი არის ნატურალისტური შეხედულება რეალობაზე, პრაგმატიზმზე და ვიტალურ ღირებულებათა პრიორიტეტზე.

პატრიოტიზმის თვალსაზრისით, რაც ემთხვევა სამეცნიერო სამართლიანობას, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩინეთის მსოფლიო ამაღლების წინასწარმეტყველება, თანაც სრული საშინაო დაშლისა და საშინაო დამცირების, სიღარიბისა და ჩამორჩენილობის სიტუაციაში, რომლებიც თითქოსდა დადგა სამუდამოდ, გააკეთა უდიდესმა რუსმა ფილოსოფოსმა ვ.სოლოვიოვმა ლექსში „პანმონღოლიზმი" და „მოკლე მოთხრობაში ანტიქრისტეს შესახებ" (1900). ვ.სოლოვიოვის წინასწარმეტყველება „პანმონღოლიზმში" ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ ა.ბლოკმა „სკვითებში" (1918) განავრცო იგი რუსეთის ბედზე. ამ ლექსის დაწერის თარიღი თავად მისტიკურად მნიშვნელოვანია — 1 ოქტომბერი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დღე.

# ჩინეთის დიდი გზა



უნივერსიადამ ჩინეთში თავისი გაძანებით მსოფლიო გააოცა

**— რუსი ადამიანისა და ჩინელის მსოფლიო აღქმა ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თქვენი აზრით, თუ ხდება ჩვენი ხალხების „მენტალური დაახლოების" პროცესები?**

— ჩინური მსოფლიო აღქმა ძლიერ განსხვავდება არა მხოლოდ რუსულისაგან, არამედ საერთოდ დასავლურისგან, რომელშიც მე ვურთავ არაბულ-მუსლიმანურ და ინდურ აღქმასაც. ჩინეთი მის გავლენაში მოხვედრილ მომიჯნავე ქვეყნებთან ერთად წარმოადგენს კაცობრიობის ცივილიზაციის ორიდან ერთ მთავარ პოლუსს და ამიტომ წარმოაჩენს ყველაზე პოლარულ ალტერნატივებს ყველა ჩვენგანისათვის ჩვეულებრივ კულტურული განვითარების ფორმებს. ნამდვილი ანტიპოდები ჩვენთვის არიან არა ამერიკელები ან ავსტრალიელები, არამედ ჩინელები. ამ პოლარულობას აქვს მეტად ღრმა ანთროპოლოგიური და ფსიქოლინგვისტური და არა მხოლოდ სოციალური და ისტორიულ-კულტურული ფესვები. ის გამოიხატება ფსიქოტიპების („მარცხენა ნახევარსფეროს", ალფაბეტური, ანალიტიკური და „მარჯვენა ნახევარსფეროს", იეროგლიფური, სინთეკიკური) განსხვავებაში და, შეიძლება, ასახავს საპიენტაციის (ადამიანი-ცხოველის განვითარება გონიერ ადამიანად) ორ განსხვავებულ და ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ წერტილს დედამიწისა. ჩინური ვარიანტი — ეს არის უკიდურესად განვითარებული კულტურული პოზიცია ჯანსაღად მოაზროვნე და სოციალიზებული „ნორმალური" ადამიანისა. დასავლური — ეს არის „ნორმისგან" პარადოქსული გარდაქმნა, ერთგვარი „გონების გაუკულმართება", რომელიც დაფუძნებულია „შეუძლებლობებისაკენ სწრაფვაზე" და „აბსურდის რწმენაზე".

ჩინელებთან დამოკიდებულებაში რუსეთს, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული გზა აქვს. თავად რუსული სიტყვა „კიტაი" ფონეტიკურად და ეტიმოლოგიურად პრინციპულად განსხვავდება დასავლური ანალოგებისაგან, რომლებიც მოდიან პირველი ცენტრალიზებული იმპერიის ცინის (III საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) სახელწოდებისგან. იგი მოდის კიდანიების (ხალხი, რომელიც ახლოს იყო მონღოლებთან ან ტუნგუსებთან) დასახელებიდან...

ჩვენს ქვეყნებში თითქმის სინქრონულად დაწყებულმა რევოლუციურმა მოვლენებმა კიდევ მეტად დააახლოვა ჩვენი ხალხები — „დიდ მეგობრობამდე", „საუკუნო ძმობამდე" და საკითხის დასმამდეც კი ერთიან საბჭოთა სახელმწიფოსთან გაერთიანების შესახებ.

ასე თუ ისე, ჩინეთსა და რუსეთს ერთმანეთთან აკავშირებს უახლოესი გეოგრაფიული მეზობლობა, კულტურათა ურთიერთობისა და ერთმანეთის შესწავლის ათეული წლები. ბუნებრივია, ეს ყოველივე ასახვას პოულობდა რუსი მწერლების შემოქმედებაში. 2008 წელს მოსკოვში სპეციალური ანთოლოგიაც კი გამოვიდა — „ჩინეთი რუს მწერლებთან". უდიდესი რუსი მწერალი ლ.ტოლსტოი ჩინურ სულიერ კულტურას კაცობრიობის ერთ-ერთ უმაღლეს მიღწევად მიიჩნევდა, სწავლობდა და თარგმნიდა მის ისეთ კორიფეებს, როგორებიც არიან კონფუცი და ლაო-ჩი, სავსებით შესაძლებლად მიიჩნევდა მათი იდეების ინტეგრაციას მისგან დამუშავებულ ეკუმენისტურ მოძღვრებაში. ჩვენს პერიოდში ჩინელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ცხოვრობს რუსეთში, ბევრი რუსი — ჩინეთში, რაც თავისთავად მოითხოვს „მენტალურ დაახლოებას". ამისათვის კიდევ მეტად განგვაწყობს მომავალი ეკონომიკური ურთიერთმოქმედების გრანდიოზული გეგმები, დაკავშირებული ენერგიაშემცველების მიწოდებასთან, გზების გაყვანასთან...

**— საბჭოთა პერიოდში მღეროდნენ „რუსები და ჩინელები — მარადიული ძმები არიან". ახლა ვინ ვართ? რა ვართ ახლა ჩვენ ერთმანეთისთვის — ძმები, მეგობრები, პარტნიორები, პოტენციური მოწინააღმდეგეები? თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულია შორეული აღმოსავლეთის „ჩინეთიზაციის" და რუსეთის მიერ ჩინეთის საზღვართან ტერიტორიების დაკარგვის საფრთხე?**

— დავიწყებ 1950-იანი წლების „დიდი მეგობრობის" ეპოქიდან თქვენგან გახსენებული სტრიქონებით. ჩვენს ენობრივ კონტექსტში ის ორი მხარის თანასწორობას ნიშნავს — სიმეტრიულია. ჩინურად კი ის ასიმეტრიულია და აღნიშნავს არათანასწორობას, ვინაიდან ყველა ძმა არის ან უფროსი, ან უმცროსი. შესაბამისად თავის დროზე მაო ძედუნი მზად იყო, ეღიარებინა თავი სტალინის უმცროს ძმად, მაგრამ არა ხრუშჩოვისა ან ბრეჟნევისა.

ამ სუბიექტურმა ფაქტორმა დიდად შეუწყო ხელი „დიდი მეგობრობის" გადაქცევას 1960-იანი წლების ბოლო პერიოდის განუჭვრეტელი შედეგების აღმქმელ სამხედრო კონფრონტაციად. შეიძლება, საბრძოლო შეტაკებამ დამანსში 1969 წელს უბიძგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რადიკალურად შეეცვალა სტრატეგიული ურთიერთობანი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, ე.ი. სსრ კავშირიდან ამერიკის შეერთებული შტატებისკენ. და ამრიგად შეცვალა მთელი პოლიტიკური კონფიგურაცია მსოფლიოში, გახდა იგი ისეთი როგორიც ახლაა, როდესაც ამერიკის იმპერიალიზმის „ქაღალდის ვეფხვი" ჩინური საქონლის მთავარი მომხმარებელი გახადა, სოციალისტური ჩინეთი კი — მის სავალო ვალდებულებათა და დოლარების ძირითად მფლობელად.

ამჟამად, მადლობა ღმერთს, ყველა ჩვენი პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონფლიქტი მოწესრიგებულია, და ჩვენ ამ ცოტა ხნის წინათ აღვნიშნეთ ორ ქვეყანას შორის, როგორც სტრატეგიული პარტნიორობის, ფუძემდებელი ხელშეკრულების 10 წლისთავი. ამიტომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან ტერიტორიის არანაირი გამოყოფა ჩვენ არ გვემუქრება.

ჯერ ერთი, თავად ჩინეთი — უზარმაზარი ქვეყანაა, რომელიც არ განიცდის ტერიტორიის ნაკლებობას, და მას აქვს მთელი რიგი საშინაო პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, ტაივანთან, ტიბეტთან და სინძიანთან, და საგარეო პრობლემები — იაპონიისა და ინდოეთის საზღვრებთან.

მეორეც, ის ყოველთვის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო იყო და სამოქალაქო საწყისს სამხედროზე მაღლა აყენებდა. კ.მარქსის შენიშვნით, მხოლოდ ჩინეთის იმპერატორი არ იცვამდა სამხედრო მუნდირს. ჩინეთის გენერალური სტრატეგია — მოიგოს ომი საბრძოლო შეტაკებების გარეშე, უპირატესობა მიანიჭოს „მსუბუქ ძალას" და გაავრცელოს თავისი გავლენა ეკონომიკისა და კულტურის „უხილავი ხელებით". მისი თვითსახელწოდება — ცენტრალური სახელმწიფო (ჩუნგო) ოფიციალურად არის აღიარებული მსოფლიოში. ხოლო ტრადიციული დიპლომატური დოქტრინის თანახმად, მთელი მსოფლიო პერიფერია ცენტრიდან თავისი დაშორების შესაბამისად ასე თუ ისე ექვემდებარება მას სწორედ, როგორც ცენტრალიზებული პერიფერია და ამიტომ არ მოითხოვს ფიზიკურ დაპყრობას.

ჩემი აზრით, საქმის დღევანდელ ვითარებაში ჩვენთვის უფრო საინტერესოა ჩინეთი, ვიდრე ჩვენ მისთვის. ჩვენი უფროსების ადგილზე მე ფართოდ გავუხსნიდი კარს ჩინეთის მშრომელ არმიებს, რომლებიც ისტორიულად მოკლე დროში გარდაქმნიდნენ არა მხოლოდ ჩვენს შორეულ აღმოსავლეთს, არამედ მთელ ქვეყანასაც, გადაწყვეტდნენ, ბოლოს და ბოლოს, გზებისა და საცხოვრებელი ბინების ოდინდელ პრობლემებს, ააგებდნენ თანამედროვე ინფრასტრუქტურას, როგორც თავიანთ სამშობლოში.

სახელმწიფო მიდგომით ამას ადვილად მიანიჭებ ორგანიზაციულ ფორმებს, რომლებიც არანაირად არ შეცვლიდნენ ჩვენთვის დამახასიათებელ კულტურულ ატმოსფეროს, ამჟამად მიმდინარე გასტარბაიტერების ინტერნაციონალის სტიქიური შემოჭრისგან განსხვავებით. ცხადია მოგება ჩინეთისთვისაც, რომელსაც აქვს შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი სიჭარბე. გაცილებით რთულია მოაწესრიგო ჩვენს ქვეყნებს შორის ინტელექტუალური ურთიერთმოქმედებანი. მაგრამ ეს ამოცანა, შეიძლება, უფრო მეტი მნიშვნელობისაა, და მისი გადაჭრისთვის ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს სულიერი პოტენციალი, რომელიც დაგვიგროვდა სამამულო ჩინეთმცოდნეობის განვითარების სამი საუკუნის მანძილზე. თუმცა, ამჟამინდელი სამწუხარო სიტუაციის ძირეული შეცვლისთვის საჭიროა უმაღლესი პოლიტიკური ნება.

**— XX საუკუნეში გარკვეულ პერიოდში ჩინეთისთვის ჩვენ ვიყავით „უფროსი ძმა". ვინ ვართ ახლა? როგორ აღიქვამენ ამ ქვეყანაში ჩვენს იდეოლოგიურ-სახელმწიფოებრივ დამარცხებებს, სსრ კავშირის დაშლას?**

— დავუბრუნდეთ საკითხს მეგობრებისა და ძმების შესახებ. ჩვენი ადრინდელი დაპირისპირებული ქვეყნების ხელმძღვანელებს ჩვენი ლიდერები „შენობით" მიმართავენ და მათ მეგობრებს უწოდებენ, რაც სრულიად არ შეინიშნება ყოფილ ჩინელ ძმებთან დაკავშირებით. აქ პოზიციები განსაზღვრული არ არის და, მგონი, ყველაზე მჭიდრო დაახლოება ჩვენ უმცროს ძმებად გვაქცევს.

მიუხედავად ისტორიისა და მტრობისა, ჩვენს ოფიციალურ ურთიერთობაში 60-70-იან წლებში, ჩინელები მეტად მგრძნობიარედ ეკიდებიან სსრ კავშირის ბედს, ვინაიდან უფრო ხშირად იხსენებენ წინა მეტად ნაყოფიერ მეგობრობას და არა „კულტურულ რევოლუციას", რომელიც მათთვისაც მძიმე გამოცდა იყო. ისინი ზრდილობიანადაც კი მიმართავენ ჩვენს აღვირახსნილ პროპაგანდისტებს, რომლებიც ადრე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით არ იშურებდნენ იდეოლოგიურ ქვემეხებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მისამართით, ახლა კი გარდაიქმნენ თავგამოდებულ ჩინოფილებად.

ამას გარდა „მამაცი 90-იანი წლების" ჩვენს კატასტროფაში ჩინელები საპირისპიროდან ხედავენ სახელმწიფო რეჟიმის კონტროლით განხორციელებული თანდათანობითი ეკონომიკური რეფორმების თავიანთი გზის სისწორის დადასტურებას. საპირისპირო მოდელის რეალიზაციის ნაკლებადწარმატებული მცდელობის შემდეგ, რაც ეფუძნებოდა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას, კომუნისტური იდეოლოგიის „დემოკრატიულ" გამოაშკარავებას და საბაზრო სტიქიის „ლიბერალურ" გათავისუფლებას, ჩვენ ტრადიციული დაგვიანებით მივედით დენ სიოპინის რეფორმების უკანა მხარის გამეორებასთან. ამიტომ, სხვათა შორის, ჩინელებისთვის მეტად სიმპათიურები არიან ჩვენი ამჟამინდელი ხელმძღვანელები, რომლებიც მის კარგ მოწაფეებად გამოიყურებიან.

**— როდესაც სახელმწიფო პრემიას გადმოგცემდნენ, თქვენ გაიხსენეთ, რომ პეტრე I-ის დროიდან რუსული სინოლოგია სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იყო. როგორაა ახლა აქ საქმე?**

— ჩინეთის კულტურის ჩვენი შეცნობის სამეცნიერო საფუძვლები, რამდენადაც ეს უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, სულ უფრო მერყევი ხდება. სამეცნიერო კადრების რაოდენობა რამდენჯერმე შემცირდა, არ არის არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მუზეუმი, ჟურნალი, აუდიო ან ვიდეო მასობრივი ინფორმაციის საშუალება, რომელიც სპეციალურად ან მთლიანად მიძღვნილი იქნებოდა ჩინეთისადმი...

სინოლოგიის განვითარება ჩვენში, ვაი რომ, უკუპროპორციულია მსოფლიოში ჩინეთის მნიშვნელობის ზრდასთან. ჩვენი ენციკლოპედიაც კი, რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა, ძირითადად გამოიცა ჩინური ფულით. ამიტომ გამოვიყენე მე კრემლში მოწყობილი ზეიმი და გადავეცი პრეზიდენტის სახელზე წერილი ამ პრობლემის აღწერით, რომელმაც, ჩემი აზრით, უკვე მოიპოვა სტრატეგიული მნიშვნელობა. იქვე მე აღვნიშნე მისი გადაწყვეტის ზოგიერთი ღონისძიება. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ წერილს დაედო მოწონებითი რეზოლუცია. თუმცა, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება ყველაზე მთავარი — შესრულება. აქ ჩვენ სამწუხარო ტრადიცია გვაქვს. მაგალითად, ჩემგან ხსენებულმა 1817 წლის უნიკალურმა სუბსიდიამაც კი უზარმაზარი თანხა 140000 რუბლი პ.კამენსკის (1767-1845) ლექსიკონზე — ვერ მიგვიყვანა მის გამოცემამდე. პირველი ჩინურ-რუსული ლექსიკონი მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოიცა.

მუშაობა მნიშვნელოვან 4-ტომიან დიდ ჩინურ-რუსულ ლექსიკონზე შეწყდა „მამაც 90-იან წლებში", თუმცა სწორედ ამ დროს ჩინურმა ენამ დაიწყო სწრაფი შევსება ახალი ლექსიკით. და ამჟამად ამგვარ ლექსიკონებს ქმნიან თავად ჩინელები. ისინი აყალიბებენ მთარგმნელობით პროგრამებს ყოფითი ელექტრონიკის მთელი მრავალფეროვნებისთვის და ასე მისი გამომყენებლების მეშვეობით გავლენას ახდენენ რუსულ ენაზე. აქ, უეჭველია, აუცილებელია სახელმწიფოს ყურადღება.

ესაუბრა
**ალექსეი პოლუბოტა**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

ნიკოლოზ მუსხელიშვილი – 120

# „მათემატიკური" წერისაც დიდოსტატი

**ბევრ სიკეთე-ღირსებასთან ერთად დიდ ნიკო მუსხელიშვილს არაჩვეულებრივი „მათემატიკურად" მწერლური კალამიც ჰქონდა და სწორედ ამ კალმიდან გამოსულ მონოგრაფიებსა თუ სახელმძღვანელოებს მრავალგზის გამოცემა, განსაცვიფრებელი წარმატება და ჭეშმარიტად საერთაშორისო აღიარება ხვდათ წილად.**

ნათქვამის ილუსტრირება ანალიზური გეომეტრიის სახელმძღვანელოთი დავიწყოთ. პირადად ჩემთვის დღეაქამომდე გამოცანად რჩება (და ვერცვინ ამიხსნა), თუ რატომ გადაწყვიტა ნიკო მუსხელიშვილმა, მეცნიერული ინტერესების მიხედვით სულაც არაგეომეტრმა, ამ დარგში სახელმძღვანელოს შექმნა და მერე, როგორ დაწერა არამშობლიურ ენაზე აგრე დიდოსტატურად ისეთი ვრცელი კურსი, რომელიც უზარმაზარი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებში ათეულობით წლის სიგრძეზე წამყვან სახელმძღვანელოდ იყო მიჩნეული ანალიზურ გეომეტრიაში!

ეს „ანალიზური გეომეტრიის კურსი" პირველად 1933-1934 წლებში ორ ნაწილად გამოჩნდა რუსულად, მოსკოვ-ლენინგრადის გამოცემით და 496 გვერდს შეიცავდა; მეორე გამოცემა, გადამუშავებული და უკვე 576-გვერდიანი, 1938 წელზე მოვიდა; მესამე, შესწორებული და შევსებული, 644 გვერდის მოცულობით, 1947 წლისაა (მივაქციოთ თარიღს ყურადღება – როგორი უნდა ყოფილიყო წიგნის მნიშვნელობა და იმისადმი ინტერესი, რომ ახლად დიდომგადახდილ და ჭრილობებმოუშუშებელ ქვეყანაში საამისოდ მოეცალათ!..); მეოთხე (!), ბოლო რუსული გამოცემა (655 გვ!) 1967 წელზე მოდის; აქვე სათქმელად, სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი რამდენჯერმეა თბილისში დასტამბული, ხოლო პეკინში 1955 წელს დაიბეჭდა ჩინური თარგმანი.

დიდი მკლევრის „მათემატიკურ" კალამსვე ეკუთვნის ორი ფუნდამენტური მონოგრაფია, სრულიად გაუზვიადებლად, ნამდვილი ეპოქის შემქმნელი შესაბამის დარგებში. ეს წიგნებია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა. მთავარი განტოლებები, დრეკადობის ბრტყელი თეორია, გრეხვა და ღუნვა" და „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები". ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები და იმათი ზოგიერთი გამოყენება მათემატიკურ ფიზიკაში".



ამ ორიდან პირველი კაპიტალური ნაშრომი 1933-ში გამოვიდა რუსულ ენაზე, ლენინგრადში, სახელგანსმენილი რუსი მათემატიკოსის, მექანიკოსისა და გემთმშენებლის, აკადემიკოს ალექსეი კრილოვის ბრწყინვალე წინასიტყვით, რომელიც ერთ რამედ ღირდა! უკვე ორ წელიწადში გახდა აუცილებელი წიგნის მეორე, გადამუშავებული და დამატებული გამოცემა... ბოლო გამოცემა, მეხუთე (!), 1966 წელს განეკუთვნება, შესწორებული და შევსებულია და „შევსება" 707 გვერდამდე ავიდა!

მონოგრაფიის პირველმა უცხოურმა (ინგლისურმა) თარგმანმა 1953 წელს იხილა მზის სინათლე (1949 წლის მესამე რუსული გამოცემიდან შესრულებულმა), ნოორდჰოფის (გრონინგენი) ცნობილი გამომცემლობის მიერ დასტამბვით; ამ 707-გვერდიანმა ნაშრომმა ნამდვილი ფურორი მოახდინა სპეციალისტთა წრეებში და ჩვენ მხოლოდ ერთი მათგანის, თვალსაჩინო ინგლისელი მექანიკოსის, პროფესორ რ. ჰილის აღფრთოვანებულ შეფასებას მოვიყვანთ იმ რეცენზიიდან, რომელიც პრესტიჟულ ინგლისურ ჟურნალში „Nature" გამოქვეყნდა 1954 წელს სათაურით „ეტაპი დრეკადობის თეორიაში"!

„ყოველმხრივ ჩინებული ამ წიგნის ინგლისური თარგმანის გამოჩენა პირველხარისხოვან მოვლენად წარმოჩნდება... ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფია უაღრესად მაღალ შთაბეჭდილებას ახდენს მკაფიო თხრობით, სასიამოვნო და დარბაისლური სტილით, ყოველგვარი დეტალისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით. ამ ვრცელზე ვრცელ ნაშრომში ვერ ნახავთ ვერც ერთ დაუხვეწავ ადგილს, ყოველი არსებითი მომენტი ნათლადაა ახსნილი; მსჯელობა დამატებებშიც კი უმაღლეს დონეზეა აყვანილი"...

ამგვარი „განაჩენი" ბატონი ნიკოს ავტორობით გამოსულ ყველა წიგნს შეიძლება გამოეტანოს!

დავსძენთ, რომ ნოორდჰოფის გამომცემლობამ „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა" მეორედ დასტამბა 1963 წელს; მონოგრაფიის რუმინული თარგმანი (1949 წლის მესამე რუსული გამოცემიდან) გამოქვეყნდა ბუქარესტში 1956 წელს (892-გვერდიანი!); ორი წლის შემდეგ პეკინში გამოჩნდა 1954 წლის რუსული გამოცემის ჩინური თარგმანი, ხოლო 1971 წელს ლაიფციგში – გერმანული თარგმანი (1966 წლის მეხუთე რუსული გამოცემისა)...

ასეთივე ტრიუმფული გზა დაებედა ნიკო მუსხელიშვილის მეორე ფუნდამენტურ ნაშრომსაც. „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები" პირველად დაისტამბა რუსულ ენაზე, 1946 წელს (მოსკოვი – ლენინგრადი); 1953 წელს იმავე ნოორდჰოფის გამომცემლობამ იმავე გრონინგენში და კვლავ ინგლისურად გამოუშვა ეს შესანიშნავი წიგნი; იმის მეორე რუსული გამოცემა, გადამუშავებული (პირველი გამოცემის 448 გვერდიდან 599 გვერდამდე გაზრდილი) მოდის 1962 წელზე, ხოლო მესამე, გასწორებული და შევსებული, 1968 წელზე – ორივე მოსკოვში; დაბოლოს, ბერლინში 1965 წელს გამოქვეყნდა 1962 წლის მეორე რუსული გამოცემიდან შესრულებული 564-გვერდიანი გერმანული თარგმანი, რითაც „იკვრება" ბატონი ნიკოს მონოგრაფიული ნაშრომების საზღვარგარეთული პუბლიკაციების ფრიად შთაბეჭდავი ნუსხა, აქვე სათქმელად, უმაგალითო საერთოდ ქართული მეცნიერების ისტორიაში – რაოდენობრივი და სხვადასხვაენობრივი თვალსაზრისით...

სულ ბოლო აკორდად კი „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები. ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები და მათემატიკურ ფიზიკაში იმათი ზოგიერთი გამოყენების" 591-გვერდიანი ქართული გამოცემა (თბილისი, „მეცნიერება", 1982) „გავაჟღეროთ", ერთადერთი, რომელსაც დიდი ქართველი სწავლული ვერ მოესწრო სიცოცხლეში"...

**თამაზ ეზანიძე.**

---

წკეპლიკა

# ტრიალებს... ტრიალებს... მიშიკოს კლიპი ტრიალებს...

**„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ" შუაღამე კაი ხნის დამწვარი და დამდნარია და არც სარკმლით მონაბერი სიო მეუბნება ნაცთა ზღაპრებს, ეგ კი არა, არცა ქრის (სამაგიეროდ – და აქვე სათქმელად – სახელისუფლებო და სასაავკოვე ფინია ტელეარხები მბერავენ ზღაპრებით...)**

ახლა, უბრალოდ, 17 სექტემბერია. და გარდა იმისა, რომ ახალი სასწავლო წელი დაიწყო, პირველი კლასიდან ინგლისური ენის სწავლებითა და მეექვსე კლასამდე, რეფორმირებული ეროვნული პროგრამით (გენაცვალე, ბატონო მინისტრო, ბლანჟეში და რეფორმებში!) – კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი, ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი ამბავი მოხდა შემორჩენილ სრულიად საქართველოში: 15 სექტემბრიდან, დღეაქამომდე დაჩაგრული, დაბეჩავებული, გალატაკებული პენსიონერები, რომლებმაც თავიანთი მხრებით მოიტანეს ეს ქვეყანა (ბოლო გამონათქვამი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისაა), მიიღებენ გააზრდილ, გაადიდებულ პენსიას 100 ლარის ოდენობით, **ერთიანს თბილისსა და თბილისს გარეთ...**

დედა, ბიჭო, რა ამბავი ატყდა 5 თუ 10 ლარით პენსიის მომატების გამო! რამდენ არხზე და რამდენჯერ ტრიალებს მიშიკოს კლიპი (თემაზე – გაბაასება პრეზიდენტისა პენსიონერებთან), დღე-ღამის განმავლობაში და როდემდე, ოხ, როდემდე ესა – ჩემო საყვარელო ტელევიზიავ, მომეც ამის პასუხი...

– ტელ! – პასუხი არ არის... – ტელ! – პასუხი არ არის...

– რა დაემართა ამ ტელს?.. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროვ, რომელიც ამ კლიპს „აწერ ხელს", შენ მაინც მიპასუხე...

არადა, ხუმრობაგაშვებითა და სერიოზულად სათქმელად, სირცხვილია ასლარიან პენსიაზე ამხელა ხმაურის ატეხვა და კიდევ მეტი სირცხვილია ქვეყნის პირველი პირის ასე გაიაფება, ასეთ კლიპში ჩაწერითა და იმითი ოქროენაპირით ამგვარი ლაპარაკით; ასევე სირცხვილია საცოდავი პენსიონერების ცდუნება ტელეში გამოჩენით და თქმევინება – მეზოზოურ ხანაში (ანუ 2003 წლამდე) 14 ლარი გვქონდა პენსია და იმასაც გვიგვიანებდნენო; ის კი არავის გაახსენდა (და თვითონაც დაავიწყდათ), რომ იმ დაგვიანებული 14 ლარით მაშინ უფრო მეტის შესყიდვა შეიძლებოდა, ვიდრე ახლანდელი დაუგვიანებელი, მაგრამ **დანაგვიანებული** 100 ლარით, რადგან მაშინდელ ლარს მეტი შემსყიდველობითი „ოფსილა" ჰქონდა, ვინემ ამჟამინდელს...

... ჩემო შვილიკო, ჩემო მიშიკო, ჩემო გიჟიკო – რაკი უშენოდ მზეც არ მოდის ამ საბრალო ქვეყანაზე, რაკი უშენოდ სამზარეულოში ფანჯრის გამოცვლაც არ შეიძლება ან მაცივრის გამორთვა, უბრძანე, რომ შესწყვიტონ ამ „გაბაასების" ტრიალი. სირცხვილია, მართლა სირცხვილია ასლარიან პენსიაზე ამდენი ხმაური, როცა შენს მინისტრებს დღეში **აქვთ 200-300 ლარი ხელფასი** და შენი უსაქმური, მოშატალოე და გარე-გარე მოტანტალე პარლამენტარები (არ ნახე საშემოდგომო სესიის გახსნის დღეს სოდენ მესამედზე შევსებული სხდომათა დარბაზი) **არაფრისთვის იღებენ ამოდენა „პენსიებს"!**

... და რაკი ამდენ „ა-მიშ-მიშებულთან" ერთად „შენდამი ვცან მეც სიყვარული", რაკი შენს მრჩეველთა შორის გონივრული რჩევის მომცემი არცვინ ჩანს, გავბედავ და მე მოგცემ ერთ რჩევას:

აი, თუ ოდესმე აფხაზეთსა და ცხინვალეთს დაგვიბრუნებ, ე, მაშინ ჩაწერე როგორიც გინდა კლიპი და ატრიალებინე, რადენიც გინდა; ხოლო თუ ამას ვერ შეძლებ, გაბაასებაზე პენსიონერები კი არა, შენი ხელისუფალნი შეჰყარე (ბოლოს შეჰყარნეს მიშამან...) და ხელფასების მოკლება გამოუცხადე ზომიერების ფარგლებში, მით უფრო, რომ ეს ქვეყანა იმათ თავიანთი მხრებით არ მოუტანიათ... შენებური დასაბუთებით გამოუცხადე... დაგიშალა ვინმემ?.. ეს ხომ მაინც შენს ხელთ არის! ეს ხომ მაინც აფხაზეთისა და ცხინვალეთის პრობლემა არ არის!..

**ბერდია ბედოიძე.**

---

ინფორმაცია

## დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს ხელფასები შემოსავლების ზრდის შემთხვევაში მოემატებათ

**დასუფთავების** სამსახურის თანამშრომლებს ხელფასები შემოსავლების გაზრდის შემთხვევაში მოემატებათ, „ ამის შესახებ ჟურნალისტებს შპს „თბილსერვისის" დირექტორმა თორნიკე შიოლაშვილმა განუცხადა. „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ გადასახადის ახალი სისტემის გამო, დასუფთავების სამსახურს შემოსავალი გაეზარდა და თანამშრომლებს ხელფასები უნდა მოემატოთ.

შიოლაშვილის განცხადებით, ინფორმაცია, თითქოს დასუფთავების გადასახადის ელექტროენერგიის ტარიფზე მიერთების შემდეგ, დასუფთავების სამსახურს შემოსავალი გაეზარდა, სიმართლეს არ შეესაბამება. მისი თქმით, შემოსავალი მხოლოდ ოდნავ გაიზარდა.

ХО-ЭИБ-ЭБО

---

განსჯა

# მთავარი მაინც ეკონომიკაა – „განსაცვიფრებლად არის მთავარი"

**(მეხუთე გვერდიდან)**

სესხის მისაღებად დამატებით საჭიროა მყარი გარანტიები. ასეთი გარანტიების მიცემა შეუძლია მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტს, რომელიც ყველა ვალდებულებებს იხდის ქვეყნის ბიუჯეტიდან.

კისრულობს რა მაღალ ვალდებულებებს, პრეზიდენტის ინსტიტუტი ითხოვს და ღებულობს კიდევაც მაღალ უფლებებს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ავტორიტარული მმართველობის დამკვიდრებას. ვინც არ უნდა მოვიდეს პრეზიდენტად (დემოკრატიული გარდაქმნების და ეროვნული სულისკვეთების მატარებელი პერსონა) დასავლეთის „დახმარებებით" ის აუცილებლად ჩამოყალიბდება ავტორიტარად ან დიქტატორად. ასე ხდება სხვა განვითარებად ქვეყნებში და საქართველო ვერ იქნება გამონაკლისი.

ეკონომიკური განვითარების ასეთი წესი შეიძლება დაირღვეს თუ არჩევნებში გაიმარჯვებს სხვა პლატფორმის მქონე პოლიტიკური პარტია და ისინი მოახდენენ ობიექტების დაფინანსების წესის შეცვლას; ნაწილობრივ უარს იტყვიან ევროპელთა „დახმარებებზე" და საჭირო ობიექტებს დააფინანსებენ ქვეყნის ბიუჯეტიდან. მაგრამ ასეთი „თერაპია" გამოიწვევს ძნელად ასატან „შოკს".

დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა შეცვლას ითხოვს, რადგან მის გაგრძელებას ჩვენი ქვეყნის კოლონიად გადაქცევა მოყვება დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის დაკანონება, ქვეყნიდან მიგრაციული პროცესების გაღრმავება და სხვა უბედურებები.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლას მოითხოვს მსოფლიოში განვითარებული კრიზისი და „ევროპული არჩევანიც". ევროკავშირის ერთ-ერთი სტრუქტურიდან მოითხოვენ სარკინიგზო ხაზის აღდგენას, რომელიც აფხაზეთზე გავლით სომხეთს აკავშირებს რუსეთთან. რკინიგზის აღდგენა აფხაზებთან შერიგების მნიშვნელოვანი ბერკეტიაო. ე.ი. ევროპა ითხოვს სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებას.

დიახ, „განსაცვიფრებლად არის მთავარი" ქვეყნების, ხალხის და არა ცალკეული პოლიტიკოსების ინტერესების გამომხატველი ეკონომიკა.

**ნუგზარ კოზაკიძე.**

კალათბურთი

# სიტყვის ხალხი



საფუძვლიანად გადახალსიებული საბერძნეთის ნაკრების ჭეშმარიტ ძალას პლეი-ოფში იხილავთო – აცხადებდნენ „ევრობასკეტის“ ჯგუფური რაუნდების დასრულების შემდეგ ელადელთა შეფები.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ეს შორცანიდისის, სპანულისის, დიამანტიდისის, პაპალუკასისა და ცარცარისის გარეშე მოასპარეზე იოანის ზუროსის შეგირდებმა შეძლეს, თანაც გათამაშების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთან – საფრანგეთთან.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია, აღინიშნოს, რომ „სამფეროვნები“ სამი პერიოდის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ და უმძიმეს გამარჯვებას მხოლოდ დასკვნით მეოთხედში მიაღწიეს პარკერის, ბატუმისა და დე კოლოს ძალისხმევით – 64:56.

იმავე საღამოს გამართულ მეორე მეოთხედფინალში, ჯერაც დაუმარცხებელმა რუსეთმა, უკვე მერამდენედ, დაადასტურა თავისი ამბიციების საფუძვლიანობა, როცა სერბეთს ერთხელაც არ მისცა დაწინაურების საშუალება – 77:67. მართალია, დებიუტში ბალკანელთა ლიდერმა თეოდოშიჩმა გაიბრწყინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მას პერსონალური შენიშვნები მოუმრავლდა, კირილენკო, ხრიაპა, შვედი, ვორონცევიჩი და მონია შეუჩერებელნი გახდნენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დუშან ივკოვიჩს ტრავმირებული უკანახაზელები – ტეპიჩი და რაშიჩი აკლდა.

* * *

საერთაშორისო ბატალიებს რა სჯობს, მაგრამ ნელ-ნელა შინაურ ფრონტზეც მოგვიწევს გადმორთვა. კერძოდ, როგორც შევიტყვეთ, სეზონის პირველი ტურნირი– დუდუ დადიანის მემორიალი 6 ოქტომბერს აიღებს სტარტს, ხოლო სუპერლიგა – 15 ოქტომბერს.



FIBA Europe/Castoria/Wiedensohler

ფეხბურთი

# ომი და მშვიდობა

აბა, ისე როგორ იქნებოდა, თურქულ-ებრაული პოლიტიკური კრიზისი სპორტზეც რომ არ ასახულიყო.

ჰოდა, ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდის სასტარტო მატჩი „ბეშიქთაში“ – თელ-ავივის „მაკაბი“ („ე“ ჯგუფი) სტამბოლში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების დაცვით გაიმართა.



მართალია, ისრაელის უძლიერესი კლუბის მესვეურები შექმნილი ფორსმაჟორული ვითარების გამო უეფას შეხვედრის სხვა დროისთვის ან ნეიტრალურ მინდორზე გადატანას სთხოვდნენ, მაგრამ უარის მიღების შემდეგ იძულებულნი გახდნენ ოსმალეთში ჩასულიყვნენ.

ეტყობა, ასეთმა რისკ-ფაქტორმა სტუმრებზე დამთრგუნველად იმოქმედა – მათ, რომ იტყვიან, გასახდელშივე ფსიქოლოგიურად დათმეს პრინციპული ბრძოლა – 1:5 და სამშობლოში შერცხვენილნი დაბრუნდნენ.

მოგეხსენებათ, ახალი სეზონის წინ მადრიდის „ატლეტიკო“ მისმა ორმა საკულტო ფიგურამ – აგუერომ და ფორლანმა დატოვა. როგორც გლაზგოს „სელტიკთან“ „ვისენტე კალდერონის“ სტადიონზე გადატანილმა პირველი ტურის დუელმა დაადასტურა, ესპანეთის ერთ-ერთი პოპულარული გუნდის ბოსებს წასულთათვის ღირსეული შემცვლელები მოუძებნიათ („ი“ ჯგუფი), რადგან თამაშის ბედი სწორედ დებიუტანტების – ფალკაოსა და დიეგოს ზუსტმა დარტყმებმა გადაწყვიტა – 2:0.

დანარჩენი შედეგები: „ა“ ჯგუფი. პაოკი – „ტოტენჰემი“ 0:0, „შემროკი“ – „რუბინი“ 0:3.

„ბ“ ჯგუფი. „ჰანოვერი“ - „სტანდარდი“ 0:0, „კოპენჰაგენი“ – „ვორსკლა“ 1:0.

„გ“ ჯგუფი. „ეინდჰოვენი“ - „ლეგია 1:0, „ჰაპოელი“ – „რაპიდი“ (ბუქარესტი) 0:1.

„დ“ ჯგუფი. „ციურიხი“ - „სპორტინგი“ 0.2, „ლაციო“ - „ვასლუი“ 2:2.

„ე“ ჯგუფი. „დინამო“ (კიევი) - „სტოკი“ 1:1.

„ვ“ ჯგუფი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „ზალცბურგი“ 3:1, „სლოვანი“ - „ბილბაო“ 1:2.

„ზ“ ჯგუფი. „ალკმაარი“ - „მალმიო“ 4:1, „აუსტრია“ – „მეტალისტი“ 1:2.

„თ“ ჯგუფი. „ბირმინგემი“ - „ბრაგა“ 1:3, „ბრიუგე“ – „მარიბორი“ 2:0.

„ი“ ჯგუფი. „უდინეზე“ – „რენი“ 2:1.

„კ“ ჯგუფი. „სტიაუა“ – „შალკე“ 0:0, „მაკაბი“ (ჰაიფა) – „ლარნაკა“ 1:0.

„ლ“ ჯგუფი. „ფულჰემი“ - „ტვენტე“ 1:1, „ვისლა“ – „ოდენსე“ 1:3.

„მ“ ჯგუფი. „შტურმი“ – „ლოკომოტივი“ 1:2, „ანდერლეხტი“ - აეკი 4:1.

რაგბი

# პრაგმატიზმმა ასე მოითხოვა

მსოფლიო თასის სადებიუტო შეხვედრაში ნატურალიზებული უცხოელი ლეგიონერებით გაძლიერებულმა იაპონიის ნაკრებმა ცხარე ბრძოლა გაუმართა ევროპული რაგბის ბობოლას – საფრანგეთს, ერთ ეპიზოდში სახიფათოდაც მიუახლოვდა – 21:25, თუმცა ბოლოს მაინც სოლიდური უპირატესობით დამარცხდა – 21:47.

გუშინ მასპინძელ ზელანდიელებთან აზიელთა თავკაცმა ჯონ კირნანმა თავისი გუნდის ერთბაშად 10 ვარსკვლავი დაასვენა და კაპიტულაცია წლევანდელი ფორუმის ჯერჯერობით სარეკორდო ანგარიშით გამოაცხადა – 7:83(!).

შეიძლება, ასეთი საქციელის გამო ბევრმა გააკრიტიკოს წაგებულთა სამწვრთნელო შტაბი, მაგრამ სადღაც მათაც შეიძლება გაუგოს კაცმა: წინ ხომ ტოლსწორ მეტოქეებთან – ტონგასთან და კანადასთან მატჩებია, სადაც, „ამომავალი მზის ქვეყნის“ ქვეშევრდომები ქულების მოპოვებას აპირებენ.

საინტერესოა, გაამართლებს მათი სტრატეგიული სვლა?

დღეს: არგენტინა – რუმინეთი, ავსტრალია – ირლანდია.



ინტერნეტიდან

## ბლატერი არ მიდის



ასე გააქარწყლა ფიფას 75 წლის პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ხმები, თითოს ის აღარ დაუცდის ოთხწლიანი ვადის გასვლას და ისე დატოვებს მსოფლიო ფეხბურთის თავკაცის პოსტს, რათა ადგილი დაუთმოს უეფას ახლანდელ პრეზიდენტს მიშელ პლატინის. „პლატინის დანიშვნა ნონსენსია!“ – განუცხადებია ბლატერს.

ამასთან ფიფას სააპელაციო კომიტეტმა დაამტკიცა ფეხბურთის აზიის კონფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მოჰამედ ბინ ჰამარის სამუდამო დისკვალიფიკაცია. კორუფციაში მონაწილეობისთვის მას აეკრძალა ფეხბურთთან დაკავშირებული ყოველი საქმიანობა.

## ფინალი რუსული იქნება



ხანტი-მანსიისკში გათამაშებულ ჭადრაკში მსოფლიო თასის ნახევარფინალში მოსკოველმა ალექსანდრე გრიშჩუკმა დაამარცხა ლვოველი ვასილი ივანჩუკი. ადრე მეორე ნახევარფინალში რუსეთელმა პეტრე სვიდლერმა დაამარცხა უკრაინელი პონომარიოვი. ასე რომ ჭადრაკში მსოფლიო თასის ოთხმატჩიანი ფინალი რუსული იქნება.

## ისევ და ისევ ბოლტი



გრძელდება მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის შეჯიბრებათა სერია საუკეთესო სპორტსმენების გამოსავლინებლად. ზაგრებში გაიმართა ამ სერიის მე-14 ეტაპი. 100 მეტრზე სირბილში კვლავ ისახელა თავი პეკინის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა, იამაიკელმა უსეინ ბოლტმა. მან დისტანცია საუკეთესო დროში – 9,85 წამში გაირბინა. მე-2 ადგილზე გამოსული ამერიკელი კოლინზის დრო 10,01 წამი იყო, ხოლო ფინიშთან მესამედ მისულმა ტომპსონმა (ტრინიდადი და ტობაგო) აჩვენა 10,03 წამი.

№ 173. შაბათი, 17 სექტემბერი, 2011 წელი.

◉ შეუცნობელი

# მიზიდულობის კანონები



სიყვარულის სეზონი, თურმე, გაზაფხული კი არა... შემოდგომა ყოფილა!

**გარეგნობას დიდი მნიშვნელობა აქვს**

ევროპასა და ამერიკის ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, ანტროპოლოგებმა ტიპურად მიმზიდველი მამაკაცისა და ასევე ტიპურად მომხიბლავი ქალის პორტრეტის შექმნა შეძლეს.

მამაკაცი — ალნაგი, მაგრამ არა გოლიათი შავთმიანია, მას სწორი ცხვირი, მოგრძო მოყვანილობის სახე, მკაფიოდ შემოხაზული წვრილი ტუჩები აქვს. იდეალთან ახლოს არიან ჰოლივუდელი მსახიობი კიანუ რივზი, რუსეთელი მომღერალი დიმიტრი პევცოვი.

ქალი — კარგი აღნაგობის, წაბლისფერთმიანი, საკმაოდ სავსე ტუჩებისა და ღია ფერის თვალების, პატარა თავის, ოდნავ აპრეხილი ცხვირისა და რამდენადმე ბავშვური გამომეტყველების მქონეა. იდეალთან ახლოა ჰოლივუდელი ვარსკვლავი ქეთრინ ზეტა-ჯონსი, რუსეთელი მსახიობი ჩულპან ხამატოვა.

მოყვანილ დასკვნას ცნობილი ანტროპოლოგის ეიბლ-ეიბესფელდის გამოკვლევაც ადასტურებს, რომელიც ამტკიცებდა, რომ მამაკაცებს იზიდავენ ფართო თეძოებისა და დიდი მკერდის მქონე, ამავე დროს სახის მიამიტი გამომეტყველების ქალები. ფიზიკური მოწიფულობა ჯანმრთელი შთამომავლობის ყოლის გარანტიაა, სახის ბავშვური გამომეტყველება კი იმის იმედს იძლევა, რომ ურთიერთობისას ქალი დომინანტური მდგომარეობის დაკავებას ნაკლებად ეცდება.

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ: „ქვიშის საათის" ფორმის მქონე ქალის სხეული მამაკაცებს ქვეცნობიერ დონეზე იზიდავთ. წელისა და თეძოების მოცულობის შეფარდებას მამაკაცები „სექსუალობის ინდექსს" უწოდებენ, ვენერა მილოსელს, მერლინ მონროს ეს კოეფიციენტი დაახლოებით 0,7-ს უდრის. ასეთივე ინდექსი აქვთ მოდელებს, რომლებსაც მამაკაცთა ჟურნალებისთვის იღებენ.

**მიმზიდველობა და... სამოსელი**

ქალი, რომელიც ინტერნეტში თავის ფოტოს გამოფენს, რომელზეც წითელ კაბაშია გამოწყობილი, საშუალოდ 25 პროცენტით მეტ ხმას მიიღებს, ვიდრე სხვა ფერის კაბაში ჩაცმული ლამაზმანი. თეთრ შემოჭერილ მაისურში ჩაცმული მამაკაცი ქალს უფრო სექსუალური მოეჩვენება, ვიდრე იგივე მამაკაცი, ოღონდ ჯემპრეში გამოწყობილი.

**... მერე მოუწესრიგებლობა**

ხელსაწყო „პოლიგრაფის" მეშვეობით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პირველ პაემანზე მამაკაცის ყურადღებას ყველაზე მეტად ტუჩები, თვალები და თმები იპყრობს. შთაბეჭდილებას კი ტანსაცმლის მოუწესრიგებლობა, დაუბანელი თმა და პირსინგი აფუჭებს.

**... ძალური ციკლი**

დიდი ბრიტანეთის სატელევიზიო ქსელის ბი-ბი-სი-ს 18 ათას მაყურებელ ქალბატონს ექსპერიმენტის სახით მამაკაცის ორი ტიპი აჩვენეს — მაჩო და ინტელიგენტი. მაყურებელთა 66 პროცენტმა ცხოვრების მეგზურად ინტელიგენტი აირჩია, რაც იმით ახსნა, რომ ყოფაში მაჩო აუტანელია. მამაკაცთა ამ ორი ტიპის მონაწილეობით მეორე ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ქალები თავიანთ არჩევანს საკუთარი ციკლის მიხედვით იცვლიან. ჩასახვისთვის ხელსაყრელ პერიოდში მათ მაჩო უფრო იზიდავთ. ფაქტობრივად, გამოდის, რომ შთამომავლობის ყოლა ქალებს მაჩოებისგან ურჩევნიათ, მაგრამ ცოლად გაყოლას ინტელგენტებს ამჯობინებენ.

**... თანასწორობა**

აღმოჩნდა, რომ ქალებიც და მამაკაცებიც ასაკით, სილამაზით და შემოსავლით თანატოლი პარტნიორებისადმი მივილტვით. ახალგაზრდა ქალიშვილებს ახალგაზრდა ჭაბუკები უყვარდებათ და არა ასაკოვანი ბებრები. შეძლებული მამაკაცები კი ასევე შეძლებული ქალებისკენ ისწრაფვიან. ევოლუციური თვალსაზრისით „მსგავსთა" კავშირები გაცილებით სტაბილურია.

**... ჯანმრთელი შთამომავლობა**

დიდი ბრიტანეთის ბრისტოლის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომლებმაც ათასობით ბიოგრაფია და ავადმყოფობის ისტორია შეისწავლეს, განაცხადეს: დედის გრძელი ფეხები მომავალი ბავშვის ჯანმრთელობის საწინდარია. დედის ფეხის სიგრძის ყოველი ერთი სანტიმეტრი ახალშობილის წონას 22,1 გრამით ზრდის.

ბუნებამ ისე მოაწყო, რომ მამაკაცები ქალის ამ ღირსებას ინსტინქტურად გრძობენ, ამიტომაცაა, რომ თავიდანვე ყურადღებას ფეხებს აქცევენ.

**... თანაგრძნობა**

მარლენ დიტრიხის აზრით, „მამაკაცს უფრო ის ქალი დააინტერესებს, რომელიც თავად იჩენს მის მიმართ ინტერესს, ვიდრე ის, ვისაც ლამაზი ფეხები აქვს".

**... ფერომონები**

ავსტრალიაში ჩატარებული ექსპერიმენტის დროს მამაკაცებს ფილმი აჩვენეს, რომელშიც შავთმიანი ქალიშვილებიც მონაწილეობდნენ და ქერათმიანებიც. მამაკაცთა მხოლოდ 40 პროცენტმა მიიჩნია ქერათმიანები უფრო მიმზიდველებად. მაგრამ როცა დარბაზში თმის სხვადასხვა ფერის მქონე 80 რეალური ქალიშვილი მიიწვიეს, მამაკაცთა 85-მა პროცენტმა ხმა ქერა და ყღალთმიან ქალიშვილებს მისცა. ფიზიოლოგთა აზრით, საქმე ფერომონებშია, მფრინავ ნივთიერებებში, რომლებიც მამაკაცებს „სიყვარულის სასმელივით" იზიდავენ. აღმოჩნდა, რომ ქერათმიანი ქალები მათ შავთმიანებზე ექვსჯერ უფრო ინტენსიურად გამოყოფენ.

**... ხმა**

ხელოვნური განათების გამოგონებამდე ადამიანები პარტნიორის სექსუალურ მომხიბლაობას ხმით აფასებდნენ და ეს თვისება შთამომავლობით დაგვიტოვეს. ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მოხალისეთა ჯგუფს ხმათა სერიის მოსმენა შესთავაზეს და მათგან როგორც განსაკუთრებით სასიამოვნო, ასევე უსიამო ხმების არჩევა სთხოვეს. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვისი ხმებიც უფრო სასიამოვნოდ მიიჩნიეს, გაცილებით მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობენ, ვიდრე შედარებით უფერული ხმების პატრონები.

**... სიმთვრალე**

იმ ბარებში ჩატარებული გამოკითხვებით, რომლებსაც ხშირად სტუმრობენ მარტოხელა მამაკაცები, დადგინდა: რაც უფრო გვიანია, მით უფრო მეტად მიმზიდველია ქალი. საღამოს 7 საათზე თუ კაცი ათბალიანი შკალით ქალს 5 ქულით შეაფასებს, 11 საათზე შეფასება 7-მდე მოიმატებს, ხოლო 12 საათზე — 8,5 ქულამდე.

**... ფული**

კანადელმა სოციოლოგებმა დაადგინეს, თუ როგორ მოქმედებს ხელფასის ოდენობაზე მიმზიდველი გარეგნობა. მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტის ყველა მონაწილის გარეგნობა 1-დან 5-მდე ქულით შეაფასეს, მეცნიერებმა მათი შემოსავალი შეადარეს. აღმოჩნდა, რომ მომხიბლაობის თითო ქულა მონაწილეს შემოსავალს წელიწადში 2 ათას დოლარს მატებდა.

**... სიკეთე**

ბრიტანელი მეცნიერი მაიკლ კალიკი თავის სტუდენტებს ქალთა პორტრეტებს აჩვენებდა. რაც უფრო სრულყოფილი იყო სახე, მით უფრო მეტ ფარულ ღირსებას და სიკეთეს მიაწერდნენ ქალბატონს სტუდენტები.

**... სიყვარულის სეზონი**

მამაკაცისა და ქალის ბიორიტმები ისეა აგებული, რომ ბავშვები წლის თბილ დროს იბადებოდნენ. სიყვარული ჭეშმარიტი სეზონი გაზაფხული კი არა, არამედ შემოდგომაა. სექტემბერ-ოქტომბერში მამაკაცებს ტესტესტერონის დონე უწევთ, რაც ქალთათვის მათ განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის.

* * *

**წიგნში „სურვილის ევოლუცია" ფსიქოლოგმა დევიდ ბასმა მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთა გამოკვლევის შედეგები მოიყვანა. აღმოჩნდა, რომ უკლებლივ ყველა კულტურაში მამაკაცებს ქალებში ყველაზე მეტად სილამაზე იზიდავთ, ქალებს კი მამაკაცებში — შემოსავალი.**

**იაფად! სხვამ არ მოგასწროთ!**

იყიდება ნისან-ტერანო-2, კარგ მდგომარეობაში. დარეკეთ 577 40 60 72, 551 14 74 16, ფასი შეთანხმებით.

◉ მინიატიურული გამოცემა

## „ლექსები უფსკრულს მტრედად უზიან"




ტიციან ტაბიძის მინიატიურული კრებული გამოიცა. ილია ჭავჭავაძის მწიგნობართა ასოციაციის ეგიდით დასტამბული კრებული „ლექსი მეწყერი. თხზულებანი" აერთიანებს ტიციან ტაბიძის როგორც პოეზიას, ასევე ოცდაათამდე წერილს, ნარკვევს, ჩანახატს. საგულისხმოა, რომ წერილები „ანალოგიები" აქამდე არც ერთ გამოცემაში არ შესულა და მათი გათვალისწინება აუცილებელია ტიციანის მსოფლმხედველობა-მსოფლგაგების ზუსტად განსაზღვრისათვის.

„ტიციან ტაბიძეს ძალუძს თვალი გაუსწოროს ურთულეს და მღვრიე ეპოქებსაც კი. მისი პოეზია ყოველთვის იქნება განწმენდის, ამაღლებისა და ტკბობის წყარო... ყველა დიდი პოეტი, უწინარესად, თავისი დროისა და ქვეყნის შვილია. ასეთია ტიციანიც.

**„ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,**
**ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,**
**სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს**
**გავარვარებულ ოქროს თაველებს!**

* * *

**დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა**
**და საქართველოს მედგას ულელი,**
**მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,**
**დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი",**

— წერს წინასტყვაობაში ბატონი ნოდარ ტაბიძე.

ტიციანის სიმბოლისტური ლირიკის ბევრი ნიმუში სწორედ ასეთი ოპტიმიზმითაა გამსჭვალული. გინახავთ „ვაშლის გაშლილ ხის სილამაზეს როგორ ასკდება ტანზე მაისის ღამე"? ანდა როგორ „ემტვრევა ცას თეთრი ანძებით და ღრუბლებს ტივებით მიაქვთ ლაჟვარდი?" „როგორც დედის რძე და ბავშვის ტუჩი, ასკდება ატმის ყვავილი ყვავილს"...

**„და მეჩვენება, რომ ლექსის ძაფი**
**უძილო ღამეს ხელში ეკავა",**

— წერს ტიციანი. ეს პატარა წიგნიც გულში დაგუბებული ლექსების ზვავითაა სავსე, რომელიც აგამაღლებს, გასპეტაკებს და ფრენის სურვილით შთაგაგონებს.

**„არც ერთი სიტყვა არ დამცდენია**
**მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა"...**

* * *

„ლექსები უფსკრულს მტრედად უზიან", — კითხულობ ამ სტრიქონებს და ფიქრობ გადარჩენილ ქართულ სულზე, რომელიც მიდის, მიიმღერის და თან „საქართველოს მიაქვს ოცნება"...

დაბოლოს, ტიციან ტაბიძის ეს შესანიშნავი კრებული შეადგინა ნოდარ ტაბიძემ, მთავარი რედაქტორია ლია ნადარეიშვილი, მხატვარი ნინო ზაალიშვილი, საგამომცემლო განყოფილების გამგე — შოთა კობიაშვილი, უფროსი რედაქტორი — სოფიო კობიაშვილი, რედაქტორ-კორექტორი — რუსუდან ბულისკერია.

**თამარ შაიშმელაშვილი**



მეუღლე ნათელა ქარჩავა, შვილები ბესო, მზია, ირა, ნაზი, შორენა, და ნაზია, ძმა ჟორჟი გვილიები, რძალი მადონა ვეკუა, სიძეები ამირან ნათობიძე, ვარდენ ხუბუა, შვილიშვილები აკაკი, სოსო გვილიები, თემურ, თამუნა ნათობიძეები, მალხაზ, მაია ხუბუები, ეკა, ირაკლი გოგოხიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი (კაკო) გვილია**

პანაშვიდი: 17 IX, მისამართი: მუხიანი, IV ბ მ/რ, კორპ. 35 ბ, III სადარბაზო, II სართული. გამოსვენება 18 IX, იოაკიმესა და ანას სახელობის ეკლესიიდან (მუხიანი). 14 სთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს შორენა გვილიას მამის

**აკაკი (კაკო) გვილიას**

გარდაცვალების გამო.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## სულიერება

# მარიამ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის „შეუწველი მაყვლის“ დღესასწაული



17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს სასწაულმოქმედი ხატის „შეუწველი მაყვლის“ დღეს.

... ცნობილია, რომ მარიამ ღვთისმშობელს ხშირად უწოდებენ შეუწველ მაყვალს და მას ცეცხლოვანი ნათლით განათებულს გამოსახავენ.

მარიამ ღვთისმშობლის სახე მოსე წინასწარმეტყველმა იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და არ იწვოდა. მაყვალი ანთია და არ იწვის, ქალწული შობს და ქალწულადვე რჩება. ხატი – „შეუწველი მაყვალი“ რვაქიმიანი ვარსკვლავის სახით არის გამოსახული, რომელიც ორი წვერწამახვილებული ოთხკუთხედისგან შედგება, მათგან ერთი წითელი ფერისაა, რომელიც მოგვაგონებს იმ ცეცხლს, მოსეს მიერ ხილული მაყვალი რომ მოიცვა და რომელშიც ის ალით გარშემორტყმული დაუწველი დარჩა.

თვით რვაკუთხედის შუაგულში, როგორც მაყვალში, ყრმა ღმერთთან ერთად ყოვლადწმინდა ქალწულია გამოსახული. წითელი ოთხკუთხედის კუთხეებში კი – ადამიანი, ლომი, ზვარაკი და არწივი, როგორც ხილული ნიშნები ოთხი მახარებლის მონათხრობის თავისებურებებზე – ღვთაებრივი და უსხეულო ცეცხლის ცხოვრებისა და სწავლების შესახებ, ყოვლადწმინდა ქალწულმა თავის წიაღში დაუწველად რომ მიიღო.

**გიული ლიპარტია**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● 1901 წელს მეეტლეებისთვის სპეციალური კურსები გაიხსნა, რომელზეც სხვა აუცილებელ საგნებთან ერთად ისწავლებოდა „გზის გასაკვლევი“ მეცნიერება – ასტრონომია.

● ჩინეთში ძველად სიმართლისა და გულწრფელობის დასადგენად ადამიანს მშრალ ბრინჯს აჭმევდნენ, ხოლო დღეს ამერიკაში სიცრუის დეტექტორს ხმარობენ.

● არსებობს აზრი, რომ ყველა ადამიანი ასაკს იკლებს, მაგრამ ლუდოვიკო XIV-ს ფრეილინა ამბობდა, ყველა ცდილობს, უფრო ასაკოვნად გამოიყურებოდეს, უფრო ჭკვიანი რომ ეგონოთ.

● ამბობენ, რომ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ცირკის მოჭიდავეები ერთ-ერთ ქალაქში იყრიდნენ თავს, სადაც დუქნებში ერთმანეთს ჭამაში ეჯიბრებოდნენ – ეს ქალაქი იყო ჰამბურგი.

● მედიჩები ადრე მკურნალები იყვნენ, XV საუკუნიდან კი მათი საბანკო სახლი ყველაზე გავლენიანი იყო ფლორენციაში და ასეც ერქვა – მედიჩების საბანკო სახლი“.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

## განცხადება

კომპანიას ესაჭიროება უძრავი ქონების მართვის მენეჯერი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება
ტელ: 5 99 510 285

კომპანია აცხადებს კონკურსს დირექტორის თანამდებობაზე. სავალდებულო მოთხოვნებია – უმაღლესი განათლება, ვაჭრობის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმალური გამოცდილება და კომპიუტერის ცოდნა.
ტელ: 5 99 510 285.

## სტუდენტთა საყურადღებოდ!

აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასურია 1700 ლარი. საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.

**რექტორატი**

## ჩვენი კარაბადინი

### შემოდგომის გავლენა



მხედველობის სიმახვილე შეიძლება დაკავშირებული იყოს ადამიანის დაბადების თვესთან, ასეთი ჰიპოთეზა წამოაყენეს ისრაელმა მეცნიერებმა. საშუალო და უმაღლესი ხარისხის ახლომხედველობა, მაგალითად, უფრო ხშირად გვხვდება მათში, ვინც ივნისში ან ივლისში დაიბადა.

ისრაელელ მედიკოსთა ჯგუფმა გამოიკვლია 300 ათასი ახლომხედველი კაცი. მონაწილეები დაყვეს სამ ჯგუფად მიოპიის ხარისხის შესაბამისად. აღმოჩნდა, რომ საშუალო და უმაღლესი ხარისხის ახლომხედველობა უფრო ხშირად გვხვდება იმ ხალხში, ვინც დაიბადა ზაფხულის პირველ ან მეორე თვეში. ზამთრის თვეებში დაბადებულებს დაუსვეს სუსტი ახლომხედველობის დიაგნოზი. მეცნიერთა აზრით, ეს კავშირურთიერთობა განპირობებულია განათების სხვადასხვა პირობებით წელიწადის სხვადასხვა დროში.

ახლომხედველობის განვითარების თავიდან ასაცილებლად საჭიროა რაციონში ჩავრთოთ სიმჟავე ომეგა-3-ის მაღალი შემცველობით, მაგალითად, ცხიმიანი თევზი. თუ თევზს მივიღებთ თუნდაც ერთხელ კვირაში, მხედველობის შესუსტების ალბათობა 50 პროცენტით შემცირდება, გვარწმუნებენ სპეციალისტები.

**გამოკითხვა**

**თუ ასვენებთ თვალებს კომპიუტერზე მუშაობის დროს?**

**47 პროცენტი** – ყოველთვის არა.

**23 პროცენტი** – დიახ, ვაკეთებ შესვენებებს ყოველი საათის შემდეგ, ვიხედები შორს, ასე გვირჩევენ ექიმები.

**22 პროცენტი** – არა, ვმუშაობ მოუწყვეტლივ.

**8 პროცენტი** – რა, საჭიროა შესვენებები გავაკეთოთ?

**მთლიანად გამოკითხვაში მონაწილეობა 1380 კაცმა მიიღო.**

### ქორწინება და ფიგურა



ქალებს აქვთ მიდრეკილება – მოიმატონ წონაში გათხოვების შემდეგ, მამაკაცები კი სუქდებიან განქორწინების შემდეგ. ეს აჩვენა ამერიკელთა გამოკვლევამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 ათასზე მეტმა კაცმა.

მამაკაცები და ქალები ყოველწლიურად იწონებოდნენ, რომ გაეგოთ, თუ როგორ იცვლება მათი წონა ორი წლის განმავლობაში ქორწინების ან განქორწინების გაფორმების შემდეგ. 30 წლამდე გათხოვება ქალის ფიგურაზე არ აისახებოდა, მაგრამ ამ ნიშნულის შემდეგ წონა იწყებდა ზრდას. არის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ქორწინებაში ქალი იძულებულია დაიცვას წესრიგი სახლში. მას აღარ რჩება დრო ფიტნეს-ვარჯიშებისთვის. მამაკაცს კი განქორწინების შემდეგ ქალის სახით აკლდება პიროვნება, ვინც მის ჯანმრთელობაზე ზრუნავს.

## კადრი



## ანეკდოტები

ორი ფსიქიატრი საუბრობს:

– დღეს ერთი პაციენტი მყავდა, რომელიც მიმტკიცებდა, ტელეფონი გადავყლაპეო.

– მერე განკურნე?

– ხვალიდან ვიწყებ, დღეს მნიშვნელოვან ზარს ველოდები.

* * *

კომპიუტერი ადამიანს ვერ შეცვლის მანამ, სანამ არ ისწავლის უფროსის ხუმრობაზე ხმამაღლა ხარხარს და მეზობელი კომპიუტერისათვის თავის შეცდომების გადაბრალებას.

* * *



როგორც იქნა, თეატრში როლი მაღირსეს, პრემიერაზე უნდა დაგპატიჟო! – ეუბნება მსახიობი დაქალს.

– ვის თამაშობ?

– ერთი მსუქანი, მახინჯი ქერათმიანი ქალის როლს.

– პრინციპში მარტო თმის შეღებვა დაგჭირდება! – უპასუხა დაქალმა.

* * *

ჯიბის ქურდი საფორტეპიანო კონცერტს ესწრება და პიანისტის მოქნილი თითების შემყურე თავს სინანულით აქნევს და ჩაილაპარაკებს:

– რა მონაცემები აქვს და რაში ხარჯავს!

* * *

ექიმი ეუბნება პაციენტის მეუღლეს:

– იცით, თქვენს ქმარს სულ ერთი დღის სიცოცხლეღა დარჩა.

– არა უშავს, ექიმო, სადაც 8 წელიწადი ვუძლებდი, ერთ დღესაც როგორმე მოვითმენ.

* * *

დედა ოროსან შვილს ლანძღავს:

– მამაშენივით უტვინო და დეგენერატი ხარ!

მეორე ოთახიდან ისმის მეუღლის აღშფოთებული ხმა:

– ეს მე ვარ უტვინო და დეგენერატი?

– შენზე ვინ რას ამბობს!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24